აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№62 (25.086) ხუთშაბათი, 15 - 16 ივნისი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით, დასავლეთის მიმართულების ქარი – 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 23-28, შიდამთიან რაიონებში - 22-27 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 19 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბრიუსელში ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს შეხვდა და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის მხარდაჭერაში პირადი ძალისხმევისთვის მადლობა გადაუხადა. მანამდე ღარიბაშვილი ბელგიის სამეფოს პრემიერ-მინისტრ ალექსანდერ დე კროოს შეხვდა. შეხვედრებზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა საქართველოს ევროპული პერსპექტივის აღიარების გადაწყვეტილებაზე. აღინიშნა, რომ ევროკომისიის 12 რეკომენდაცია საქართველოს მიერ თითქმის შესრულებულია. ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა წლის ბოლოს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების კრიტიკული მნიშვნელობა როგორც საქართველოს ევროპული მომავლის, ისე გეოპოლიტიკურ კონტექსტში. პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველო იმსახურებს კანდიდატის სტატუსს, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში პოლარიზაციის შემცირებას.

* * *

12 ივნისს გამოქვეყნდა ვენეციის კომისიის დასკვნა, რომლის თანახმად „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც მმართველმა გუნდმა კომისიას წარუდგინა, პერსონიფიცირებულია და არ უნდა იქნას მიღებული, ხოლო დეოლიგარქიზაცია უნდა განხორციელდეს არა პერსონიფიცირებული, არამედ სისტემური მიდგომით, რომელიც სხვადასხვა სფეროში შესაბამისი ცვლილებების მიღებას გულისხმობს. „თუ ევროკომისია გაიზიარებს ვენეციის კომისიის მიდგომას იმასთან დაკავშირებით, რომ პერსონალიზებული კანონი არ არის საჭირო და თუ დეოლიგარქიზაციის თაობაზე ჩანაწერს ამოიღებს 12 პუნქტიდან, ამ შემთხვევაში, ჩვენ ამ კანონს აღარ ავამოქმედებთ, - განაცხადა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ. შეგახსენებთ, დეოლიგარქიზაცია ევროკომისიის 12 რეკომენდაციიდან ერთ-ერთია.

* * *

ევროკავშირი მხარს უჭერს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს: უმჯობესია, რომ დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტი არ იყოს მიღებული აღწერილი რისკების გათვალისწინებით, - ევროკავშირის ეს განცხადება საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობამ გაავრცელა. მასში აღნიშნულია, რომ ევროკავშირი მზად არის, მხარი დაუჭიროს საქართველოს ხელისუფლებას უკეთესი გამოსავლის პოვნაში. პარლამენტმა 13 ივნისის პლენარულ სხდომაზე „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონის პროექტი განიხილა და, 81 - მომხრე, 2 - წინააღმდეგი, მეორე მოსმენით მიიღო.

მოამზადა
ია შველიძემ

ვულოცავთ!

„შავი ზღვის ბიჭები“ საქართველოს ჩემპიონია!

დასრულდა საქართველოს 23-ე ეროვნული ჩემპიონატი ხელბურთში. ფინალურ შეხვედრას მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლემ უმასპინძლა. ერთმანეთს ბათუმის „შავი ზღვის ბიჭები“ და თბილისის „პეგასი“ დაუპირისპირდნენ

გამარჯვებული ფინალური სერიის ორი მატჩის შედეგით უნდა გამოვლენილიყო. პირველ შეხვედრაში ბათუმელებმა იმარჯვეს ანგარიშით 22:21, სერიის მეორე მატჩის ძირითადი დრო „პეგასის“ გამარჯვებით - 23:24 დასრულდა, საერთო შედეგი კი, ქულათა რაოდენობით, ფრე იყო.

გამარჯვებულის გამოსავლენად პენალტების სერია დაინიშნა. ბათუმელები უფრო ზუსტნი აღმოჩნდნენ და ანგარიშით 5:2 იმარჯვეს. გადამწყვეტი როლი ბათუმელთა მეკარე გიგა ტორონჯაძემ ითამაშა, რომელმაც ორი შვიდმეტრიანი მოიგერია და გუნდს ჩემპიონატი მოაგებინა. ის ფინალური სერიის საუკეთესო მეკარედ დასახელდა კიდეც.

სერიის საუკეთესო ხელბურთელი გუნდის კაპიტანი ლევან ბერძენიშვილი გახდა, ხოლო საუკეთესო ბომბარდირი - მისი თანაგუნდელი გიორგი გოგოლაძე. სხვათა შორის, მერაბ ჭანტურიას შეგირდებმა „პეგასი“ საქართველოს თასის ფინალშიც დაამარცხეს.

ჩვენმა ხელბურთელებმა ეს ტიტული მეხუთედ დაისაკუთრეს. მესამე ადგილზე „ქუთაისი 15“ გავიდა. აღსანიშნავია, რომ ბათუმის გუნდმა წელს დუბლი შეასრულა - საქართველოს თასიც მოიგო.

- ძალიან გახარებულები ვართ. ორივე ფინალური თამაში დაძაბული იყო. სახლში კი ვთამაშობდით, მაგრამ ვნერვიულობდით, რაც თამაშზეც აისახებოდა, მაგრამ მაინც დავძლიეთ სტრესი და... ჩემპიონები გავხდით, - აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა.

- დიდი მადლობა ჩვენს გულმხურვალე გულშემატკივარს იმისთვის, რომ ბოლო წუთებამდე გვერდში გვედგა და სტიმულს გვაძლევდა. მათი შემხედვარე, ბოლომდე დავიხარჯეთ, - გვითხრა გიგა ტორონჯაძემ.

- ბათუმს, ჩვენს გუნდს გულით ვულოცავ ამ გამარჯვებას. წლების შემდეგ ეს პირველი თამაში იყო ბათუმში და ცოტა ემოციური აღმოჩნდა ბიჭებისთვის. თავიდან ვინერვიულეთ, მაგრამ... უკვე მესამედ ვიგებთ პენალტებით. ჩვენმა ხელბურთელებმა გაახარეს გულშემატკივრები, - აღნიშნა კლუბის „შავი ზღვის ბიჭები“ დირექტორმა ვალერი კაკულიამ.

სხვებთან ერთად, რასაკვირველია, გახარებული იყო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ ჩიქოვანი.

- თასის ფინალმა ჩვენი იმედი გაამართლა. ვულოცავ გუნდს, ქართული ხელბურთის გულშემატკივარს. მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს ბიჭებს, კლუბს, მწვრთნელს, ყველას, ვინც გამარჯვებისთვის ბოლომდე იბრძოდა და გაიმარჯვა კიდეც, - თქვა არჩილ ჩიქოვანმა.

რაც შეეხება ქალთა ჩემპიონატს, აქ პრიზიორების ვინაობა შაბათ-კვირას გაირკვევა. აჭარა მესამე ადგილისთვის იბრძოლებს, ხოლო პირველი-მეორე ადგილებისთვის ერთმანეთს ფოთისა და ყვარელის ხელბურთელები შეხვდებიან.

«ქართული ხმები» - საქართველოს ისტორიის ქარტესილებზე

2

მოწვეული ექსპერტები უახლოეს ხანში გვამცნობენ, თუ რა საფრთხის წინაშეა შავი ზღვა

4

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

„ქართული ხმები“ – საქართველოს ისტორიის ქარტეხილებზე

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„წუთისოფელი“ - ასე ერქვა ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციას, რომელიც ბათუმის დრამატულ თეატრში ლეგენდარულმა ანსამბლმა „ქართული ხმები“ წარმოადგინა

ანსამბლის ხელმძღვანელმა თემურ ჭკუასელმა საქართველოს ისტორიიდან მნიშვნელოვანი ეპიზოდები გაიხსენა, რომელსაც თანმხლები, შესაბამისი ქართული სიმღერა კიდევ უფრო სიღრმისეულს და აღსაქმელად საინტერესოს ხდიდა. როგორც თემურ ჭკუასელმა გვითხრა, ისინი ამ კომპოზიციით არაერთ რეგიონს ეწვივნენ და საზოგადოებას კიდევ ერთხელ უთხრეს, რანი ვიყავით, საიდან მოვდივართ, რა გადავიტანეთ და რა გზით უნდა ვიაროთ, რომ გადავრჩეთ.

- ამ კონცერტით შევახსენეთ ქართველებს, რომ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი. სწორედ ამ სიყვარულმა გამოგვატარა სამი ათასი წელი და მოგვიყვანა დღევანდლამდე. რაც უფრო ხშირად გავხედავთ წარსულს, მით უფრო წინდახედულები გავხდებით, რადგან კაცობრიობის ისტორია მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად არ იწერება. წარსულის ცოდნამ მომავლის შეცნობა უნდა გაგვიადვილოს. ამქვეყნად ახალი არაფერი ხდება, მასშტაბები იცვლება მხოლოდ. თუ გვინდა, გავძლიერდეთ და ისევ გავუძლოთ ბევრ ქარტეხილს, ამისთვის ელემენტარული რამ გვჭირდება, სიტყვებს ხალხური პოეზიიდან მოვიშველიებ: „წუთისოფელი ასეა, ღამე დღეს უთენებია, რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“. სამშობლოსა და ერთმანეთის სიყვარულია ის ძალა, რომელიც დაგვაძლევინებს ყველა განსაცდელს, აღნიშნა თემურ ჭკუასელმა.

მოთხოვნები – არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებისთვის

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, არაქართულენოვანი სკოლების, ასევე, ქართულენოვანი სკოლების რუსული სექტორების პრაქტიკოსი მასწავლებლები 2025-2026 სასწავლო წლის ბოლომდე შეინარჩუნებენ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსს

2025-2026 სასწავლო წლის ბოლომდე არაქართულენოვანი სკოლების (სექტორების) პრაქტიკოსი მასწავლებელი იმ შემთხვევაში მოიპოვებს უფროსი მასწავლებლის სტატუსს, თუ გაივლის (ან გავლილი აქვს) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, ან ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის, ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებულ ქართული ენის კურსს და საგნის გამოცდაზე მიღებული შედეგების გათვალისწინებით მიენიჭება 1, 4, 7 ან 10 კრედიტქულა. ასეთ შემთხვევაში, მასწავლებელს უფლება მიეცემა გაიაროს პროფესიული უნარების გრძელვადიანი ტრენინგ-კურსი, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი. იმ მასწავლებლებს, რომლებიც ასწავლიან რუსულენოვან სკოლებში/სექტორებზე რუსულს, როგორც მშობლიურ ენასა და ლიტერატურას და ჩაბარებული ან ნაწილობრივ დადასტურებული აქვთ რუსული, როგორც უცხო ენის გამოცდა, 2025-2026 სასწავლო წლის ბოლომდე, აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მიენიჭებათ უფროსი მასწავლებლის სტატუსი. იმ არაქართულენოვან სკოლებში დასაქმებული პრაქტიკოსი მასწავლებლების ადგილას, რომლებიც 2025-2026 სასწავლო წლის ბოლომდე ვერ შეიცვლიან პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია 2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი თვით ადრე აცხადებს კონკურსს. მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის შეუვსებლობის შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, საჭიროებიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, ეს პრაქტიკოსი მასწავლებელი დაასაქმოს მოცემულ პოზიციაზე ვაკანსიის შევსებამდე, უსტატუსოდ“, - წერია ბრძანებაში.

„იდეატორთა კლუბი“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში „USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის“ იდეატორთა/STEM და მკითხველთა კლუბების პროექტების შეჯამება და დაჯილდოება გაიმართა. აღნიშნული კლუბების მიზანს უნივერსიტეტის, სკოლისა და ბიზნესის სექტორის თანამშრომლობით პროექტების დაგეგმვა-მომზადება და ამ გზით დაწყებითი კლასების მოსწავლეებში ბიზნესიდეების განვითარება წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ პროგრამის დასკვნით ღონისძიებაში, რომელშიც აჭარისა და გურიის რეგიონების 9 მუნიციპალიტეტის სკოლებიდან შერჩეული IV-VI კლასის მოსწავლეები იყვნენ ჩართული, სხვადასხვა თემატიკაზე განხორციელებული პროექტები წარადგინეს.

- ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა. ბევრ საინტერესო ადამიანთან მოგვიწია შეხვედრა, გავეცანით ძველ აჭარულ ადათ-წესებს. ვფიქრობ, მსგავსი ტიპის პროექტები თუ ღონისძიებები ახალგაზრდებს გვაძლევს საშუალებას, ამა თუ იმ მიმართულებით განვივითაროთ ცოდნა და ვიყოთ წარმატებულები იმ პროფესიაში, რომელსაც მომავალში ავირჩევთ, - გვითხრა პროექტში ჩართულმა მოსწავლე ნინო ბარამიძემ.

კლუბების ფუნქციონირებისა და გუნდური პროექტების განხორციელების პროცესს, ბიზნესის და სკოლის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, უძღვებოდნენ ბსუ-ის, როგორც „USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის“ ერთ-ერთი პარტნიორი უნივერსიტეტის, პროფესორ-მასწავლებლები, პროგრამის ტრენერები, ასევე, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები.

პედაგოგ ნანი კალანდაძის თქმით, კლუბები დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს ისეთ მნიშვნელოვან უნარ-ჩვევებს უვითარებს, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, ეფექტური კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და პრობლემების შემოქმედებითად გადაწყვეტა. მისივე ინფორმაციით, მოსწავლეებმა არაერთი საკითხი განიხილეს, ერთად შეარჩიეს პრობლემა და აქტიურად ითანამშრომლეს მისი გადაჭრის გზების მოსაძიებლად.

- მინდა, აღნიშნულ პროექტში ჩართულ თითოეულ ადამიანს, განსაკუთრებით მოსწავლეებს გადავუხადო მადლობა. ბავშვები ამ კლუბში, გარდა იმისა, რომ ცოდნას ღებულობენ, სწავლობენ ურთიერთობებს, ღირებულებებს. მათ შესაძლებლობებსა და ინტერესებზეა მორგებული წიგნიერების კლუბი, რომელშიც ერთად ვარჩევთ წიგნებს, ერთად ვგეგმავთ სხვადასხვა ტიპის აქტივობას, სწორედ ამიტომ გამოიწვია კლუბმა მოსწავლეების დიდი დაინტერესება. აღნიშნული კლუბის დამსახურებით გვაქვს მიღწევები, მოსწავლეებმა დახვეწეს სწავლის, წერის კულტურა, ისინი უკვე ფლობენ პროექტების წერისა და განხორციელებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს, - გვითხრა პედაგოგმა ნანი კალანდაძემ.

ბსუ-ში „USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის“ მენეჯერ, ასოცირებულ პროფესორ ნანა მაკარაძის ინფორმაციით, უნივერსიტეტი 2020 წლიდან ახორციელებს „USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამას“, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია საქართველოს საჯარო სკოლებში კლასგარეშე აქტივობების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა სახის კლუბის (იდეატორთა კლუბი/STEAM კლუბი/წიგნის მეგობარი, მკითხველთა კლუბი) ამოქმედება. აღნიშნული ითვალისწინებს უნივერსიტეტის, სკოლისა და ბიზნესის სექტორის თანამშრომლობით პროექტების დაგეგმვა-მომზადებას და ამ გზით დაწყებითი კლასების მოსწავლეებში ბიზნესიდეების განვითარებას. ნანა მაკარაძის განცხადებით, თავიანთი ბიზნესსაქმიანობის მოსწავლეებისთვის გასაცნობად და პროექტების განსახორციელებლად უნივერსიტეტთან არაერთმა ორგანიზაციამ ითანამშრომლა, რისთვისაც მადლობა გადაუხადა თითოეულ მათგანს და დასძინა, რომ მსგავსი თანამშრომლობა მომავალშიც შედეგიანი იქნება.

იდეატორთა კლუბის ყველა მონაწილეს სამახსოვრო საჩუქრები და სერტიფიკატები გადაეცა.

პოეზიის საღამო – იტალიურ ეზოში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

18 ივნისს, 20:00 საათზე, ბათუმში, ორგანიზაცია „კრება“ პირველ პოეზიის საღამოს გამართავს. ბათუმის ერთ-ერთ იტალიურ ეზოში მსმენელის წინაშე ცნობილი ავტორები: თემურ ელიავა, გენრი დოლიძე, როინ აბუსელიძე, სულხან წულუკიძე, გიორგი გაბაიძე და პაატა აბაშიძე წარსდგებიან. საღამოს მუსიკალურად გაფორმებენ თაკო ძირკვაძე და ანრი კაკაბაძე. დასწრება თავისუფალია

- პლატფორმა „კრება“ ბათუმის კულტურული ცხოვრების გააქტიურებას მოემსახურება. პირველი ღონისძიება მონატრებული ბათუმელი პოეტების საღამო იქნება. ასევე, სტუმრად გვეყოლება ყველასთვის საყვარელი ავტორი თემურ ელიავა. იტალიური ეზო, ღვინო, საყვარელი ადამიანები, ბათუმური გარემო, გამორჩეული მუსიკა და რაც მთავარია, განსაკუთრებული პოეზია - ასეთ საღამოს ვპირდებით სტუმრებს. რა თქმა უნდა, მსგავსი საღამოები გაგრძელდება, დაგეგმილია ისეთი ღონისძიებები, რომლებიც არაერთ ბათუმელს გაახარებს, მათ შორის, მუსიკოსების, ხელოვანების და მწერლების საინტერესო და განსაკუთრებული საღამოები, - გვითხრა „კრებას“ დამფუძნებელმა და პოეზიის საღამოს ორგანიზატორმა საბა ოკუჯავამ.

- საღამო იტალიური ეზოების და ძველი ბათუმის ნოსტალგიას ეძღვნება, მონატრებულ პუბლიკას ლექსებს ღია ცის ქვეშ წავუკითხავთ. ეს არ არის გრანდიოზული სასცენო პერფორმანსი, ეს იქნება მეზობლურად, მეგობრულად, ქალაქურად აზრთა და ლექსთა გაცვლა-გამოცვლა, რაც ბათუმისთვის არასოდეს ყოფილა უცხო. შევეცდებით ურთიერთობის ამ ფორმით, ძველი, ლამაზი ტრადიცია გავაგრძელოთ, როცა გალაკტიონის, გიორგი ლეონიძის, ზურაბ გორგილაძის, ფრიდონ ხალვაშის, ლადო სეიდიშვილის ლექსები ჟღერდა ბათუმის ქუჩებსა და ეზოებში ფინჯან ყავასთან თუ ჭიქა ღვინოსთან ერთად, - აღნიშნა პოეტმა გენრი დოლიძემ.

ერთი დღის ორი ღონისძიება – ფურტიოს სკოლაში

ცოტნე ცაბაძე 27 48 94

მოსწავლეთა პატრიოტული აღზრდა, მათში ეროვნული სულისკვეთების გამომუშავება ფურტიოს საჯარო სკოლის დირექციისა და თითოეული პედაგოგის პროფესიული საქმიანობის მთავარი მიმართულებაა

სასკოლო რეფორმის მიმდინარეობისას სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ფატი მახარაძე სხვადასხვა მეთოდსა და ხერხს მიმართავს. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს ქართული ენისა და ლიტერატურის წრის წევრებმა, პედაგოგ ფატი მახარაძის ხელმძღვანელობით, მხატვრულ-ლიტერატურული კომპოზიცია „სიმღერა-ლექსი - სამშობლო“ წარმოადგინეს. მოსწავლეებმა პატრიოტულ თემაზე წაიკითხეს ლექსები, შეასრულეს სიმღერები და ქორეოგრაფიული ნომრები.

- ასეთი აქტივობები ყველა სკოლაში უნდა იმართებოდეს, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, - კომპოზიციაში 20-ზე მეტი მოსწავლე იყო ჩართული. ისინი ყველა ნომერს მხატვრულად აფორმებდნენ და დამსწრე თანატოლებსაც იყოლიებდნენ.

იმავე დღეს ბიოლოგიის წრის წევრებმა, ფასილიტატორ, ბიოლოგიის მასწავლებელ ციური ბათნიძის ხელმძღვანელობით იმსჯელეს სადისკუსიო თემაზე „პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და კბილების დაავადებები, მათი მოვლისა და ჰიგიენური დაცვის შესახებ“.

VIII კლასის მოსწავლეებმა: ნინო რესულიძემ, სალომე და სოფო ბერიძეებმა მიმოხილვები წაიკითხეს პირის ღრუს მოვლისა და ჰიგიენური წესების დაცვის თაობაზე.

სადისკუსიო თემაზე დამსწრეთ ესაუბრა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, სტომატოლოგი ზაზა დავითაძე.

მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებანი დადებითად შეაფასეს სკოლის დირექტორმა ნაზი ქამადაძემ, მიწვეულმა სტუმრებმა: შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, მისმა მოადგილე გიორგი კეკელიძემ.

დონორობა – საპატიო მისია

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

აჭარის მთიანეთის საჯარო სამსახურებსა და ორგანიზაცია-დაწესებულებებში დონორობა ისევ საპატიო და მადლიან მოვალეობად მიაჩნიათ

ბათუმის სისხლის ბანკი „ჰემა 2012“ საქველმოქმედო აქციას „გაიღე სისხლი - გაუზიარე სიცოცხლე“ აქტიურად ახორციელებს. ამჯერად, აქციაში ჩაერთნენ პოლიციის ხულოსა და შუახევის რაიონული სამმართველოები, თვითმმართველობის ორგანოები, ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის განყოფილებები, ხულოს რესურსცენტრი.

როგორც ბათუმის სისხლის გადასხმის ბანკის ხელმძღვანელმა ბეჟან ბერიძემ გვითხრა: მთლიანობაში მობილიზებულია 60 დონორი.

რა ხარვეზები აქვს მაუწყებელს?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სხდომაზე კანონმდებლებმა მოისმინეს და ცნობად მიიღეს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე გიგა ჩხარტიშვილმა მიმდინარე და სამომავლო პრიორიტეტებზე, პროგრამულ გეგმებზე, საბიუჯეტო პარამეტრებზე, შიდა და გარე აუდიტის დასკვნებზე, სოციოლოგიურ კვლევებზე, რეიტინგებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრა. გიგა ჩხარტიშვილის ინფორმაციით, შესრულების ნაწილში მაუწყებელს აქვს ხარვეზები, როგორც შინაარსობრივი, ისე ტექნიკური მიმართულებით. მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ კანონმდებლების შეკითხვებსაც უპასუხა, სადაც საუბარი ტელევიზიის შენობას, ყოფილი და მოქმედი თანამშრომლების შრომით დავებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს შეეხო.

- უმაღლესი საბჭოს წევრების შეკითხვები ძალიან ფართო სპექტრს მოიცავდა, ინფრასტრუქტურიდან დაწყებული, შრომითი უფლებების ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მოსაზრებებში, ძირითადად, თანხვედრაც კია, უბრალოდ, მნიშვნელოვანია, რომ ამ თანხვედრის მატერიალიზება მოხდეს შესაბამის გადაწყვეტილებებში, რათა დაცული იყოს როგორც მაუწყებლის, ისე საზოგადოების ინტერესები, - განაცხადა გიგა ჩხარტიშვილმა.

დეპუტატ ცოტნე ანანიძის თქმით, საკითხები, რომლებზეც გამახვილდა ყურადღება, აქტუალურობას ვერ დაკარგავს მიუხედავად იმისა, რომ მომხსენებელმა მათზე პასუხები გასცა.

- საკითხები, რომლებიც საზოგადოებრივი მაუწყებლის წინაშე დღესაც დგას, საჭიროებს გადაჭრას. მიმაჩნია, რომ ზოგიერთი საჭიროებს მოკლევადიან ოპერატიულ გადაწყვეტას, არის შედარებით გრძელვადიანი, რომელიც ეხება ტექნიკურ საკითხებს, მაგალითად, ტელევიზიის შენობას, მაგრამ, მალევეა ეს ყველაფერი დასაწყები იმისათვის, რომ როგორც შენობის, ასევე შრომითი უფლებების ნაწილი უზრუნველყოფილი იქნას ჟურნალისტებისათვის, - განაცხადა დეპუტატმა.

პეტიციებზე რეკომენდაციები გადაეგზავნათ

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის საკანონმდებლო ორგანოში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული საზაფხულო იალაღებისთვის დამატებითი სასწრაფო-სამედიცინო მანქანების შეძენისა და ზაფხულობით იალაღებზე მცხოვრები მოსახლეობის პერიოდული უფასო სამედიცინო კვლევების ჩატარების შესახებ“ შესულ პეტიციასთან დაკავშირებით, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა გადაწყვიტა, აჭარის მთავრობას სარეკომენდაციო წერილი გაუგზავნოს, რომ მოთხოვნის შესაბამისად გამოიყოს დამატებითი სახსრები დეფიციტის შესავსებად

როგორც კომიტეტის სხდომაზე განაცხადეს, მუნიციპალიტეტების მიერ, სეზონურად, გამოყოფილია სასწრაფო-სამედიცინო მომსახურების ჯგუფები, რომლებიც საზაფხულო იალაღებს ემსახურებიან, თუმცა პეტიციის მოთხოვნიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხზე ერთობლივად იმსჯელებენ და მიიღებენ გადაწყვეტილებას.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში არაფორმალური განათლების მულტიფუნქციური ცენტრების ამოქმედებისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამატებითი სოციალური სივრცეების შექმნის შესახებ“, აღნიშნული კომიტეტის სარეკომენდაციო წერილი გადაეგზავნება აჭარის მუნიციპალიტეტებს, რაც შესაბამისი პროექტების წარდგენის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტებში სათანადო სივრცეების გამოყოფას ითვალისწინებს.

კომიტეტის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი, სსიპ „ქალაქ ბათუმის №16 საჯარო სკოლის“ სამოქალაქო განათლების კლუბ „იდეატორის“ მიერ წარდგენილი პეტიციის - „პიროტექნიკის თავისუფალი წვდომის აკრძალვისა და ხარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესების შესახებ“ საქართველოს პარლამენტში გადაგზავნას.

უკრაინა

ომის შედეგად უკრაინაში 488 ბავშვი დაიღუპა, - ამის შესახებ ნათქვამია უკრაინის გენერალური პროკურორის ოფისის განცხადებაში. „2023 წლის 14 ივნისის მდგომარეობით, რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის შედეგად, უკრაინაში 1504-ზე მეტი ბავშვი არის დაზარალებული, 488 ბავშვი დაიღუპა, 1016-ზე მეტმა მიიღო დაზიანება“, - ნათქვამია განცხადებაში. მათივე ცნობით, მონაცემები საბოლოო არ არის, რადგან გრძელდება მუშაობა საბრძოლო მოქმედებების ადგილებში, დროებით ოკუპირებულ და უკვე გათავისუფლებულ ტერიტორიებზე.

* * *

უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ვალერი ზალუჟნი აშშ-ის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების კომიტეტის ხელმძღვანელს, გენერალ მარკ მილის ფრონტზე განვითარებული მოვლენების შესახებ ტელეფონით ესაუბრა. „ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთით და სამხრეთით მძიმე თავდაცვითი და შეტევითი ბრძოლები მიმდინარეობს. გვაქვს გარკვეული წარმატებები, ვახორციელებთ ჩვენს გეგმებს, წინ მივიწევთ“, - აღნიშნა ზალუჟნიმ. მისი თქმით, „რამშტაინის“ ფორმატის მორიგი შეხვედრის წინა დღეს უკრაინის არმიის პრიორიტეტები განიხილეს და მან ხაზი გაუსვა, რომ უკრაინისთვის მნიშვნელოვანია საჰაერო თავდაცვისა და საარტილერიო შესაძლებლობების გაძლიერება. ვალერი ზალუჟნი და მარკ მილი დიალოგის გაგრძელებაზე შეთანხმდნენ.

* * *

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, კრივი-რიჰზე განხორციელებული სარაკეტო თავდასხმა კიდევ ერთი დასტურია, რომ რუსეთი სისტემატურად და მიზანმიმართულად ანადგურებს უკრაინელებს, მათ სახლებსა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურას. „რუსეთის სარაკეტო დარტყმას უკრაინელი მშვიდობიანი მოქალაქეები შეეწირნენ. ეს არის ის, რასაც ამ კონფლიქტის დაწყების შემდეგ ვხედავთ: სისტემატური, მიზანმიმართული კამპანია მშვიდობიანი მოსახლეობისა და უკრაინის სამოქალაქო ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ საჰაერო და სარაკეტო დარტყმების გზით“, - განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა მეთიუ მილერმა.

* * *

რუსულმა ძალებმა უკრაინის ქალაქ ოდესაზე სარაკეტო თავდასხმა განახორციელეს, არიან დაღუპულები და დაშავებულები, - ინფორმაციას უკრაინული მედია ოპერატიულ სარდლობა „სამხრეთზე“ დაყრდნობით ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, რუსებმა ოდესისკენ „კალიბრის“ ტიპის 4 რაკეტა გაუშვეს. დარტყმა შავ ზღვაში მყოფი გემიდან განხორციელდა. აფეთქების ტალღამ დააზიანა ბიზნესცენტრი, სასწავლო დაწესებულება, საცხოვრებელი კომპლექსი, კვების ობიექტები და მაღაზიები ქალაქის ცენტრში. წინასწარი ინფორმაციით, დაშავებულია ექვსი ადამიანი. გარდა ამისა, ერთ-ერთი სავაჭრო ქსელის საწყობში ათასი კვადრატული მეტრი ტერიტორია განადგურდა და ხანძარი გაჩნდა. საწყობის სამი თანამშრომელი დაიღუპა, შვიდი კი - დაშავდა. ნანგრევების გაწმენდა მიმდინარეობს, რადგან მის ქვეშ, შეიძლება, ადამიანები იყვნენ მოყოლილი.

* * *

ვოლოდიმირ ზელენსკი მიესალმა უკრაინის ჯარების წინსვლას ქვეყნის აღმოსავლეთში ალყაში მოქცეულ ქალაქ ბახმუტთან და ომის სამხრეთ ფრონტზე. „მადლობა ყველას, ვინც ახლა იბრძვის, ვინც იცავს და წინ წევს ჩვენს პოზიციებს“, - განაცხადა ზელენსკიმ თავის ვიდეომიმართვაში. მან ასევე შეაქო ქვედანაყოფები „ტავრიის“ სამხრეთ ფრონტზე და თქვა, რომ „ოკუპანტების საავიაციო და საარტილერიო უპირატესობის მიუხედავად, უკრაინული ძალები დაწინაურდნენ. უკრაინის პრეზიდენტმა ისაუბრა რუსეთის სარაკეტო თავდასხმაზე მის მშობლიურ ქალაქ კრივი-რიჰში და განაცხადა, რომ რაკეტების ზოგიერთი კომპონენტი დამზადებულია უკრაინის პარტნიორ ქვეყნებში. მან რუსი ტეროროისტებისთვის რაკეტების წარმოებისთვის კრიტიკული კომპონენტების მიწოდების დაბლოკვა მოითხოვა.

* * *

ლუქსემბურგის დეპუტატთა პალატამ სამშაბათს მიიღო რეზოლუცია, რომელიც 1932-1933 წლების ჰოლოდომორს უკრაინელი ხალხის გენოციდად ცნობს. უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დმიტრო კულება მიესალმა ლუქსემბურგელი დეპუტატების ისტორიულ გადაწყვეტილებას. „ეს ნაბიჯი პატივს მიაგებს მილიონობით დაღუპულს და აღადგენს ისტორიულ სამართლიანობას. ჰოლოდომორის გენოციდად საერთაშორისო აღიარებების რაოდენობა კვლავ იზრდება“ - დაწერა მან ტვიტერზე. 1932-1933 წლების ჰოლოდომორი არის მასობრივი შიმშილობა, რამაც უკრაინის სსრ-ის სოფლებში მრავალი მილიონი ადამიანის გარდაცვალება გამოიწვია. ჰოლოდომორის მუზეუმის ვებგვერდზე ნათქვამია, რომ იმ წლებში შიმშილის შედეგად დაღუპულთა საერთო რაოდენობამ 7 მილიონ ადამიანს მიაღწია. უკრაინაში ჰოლოდომორი განიხილება, როგორც გენოციდი უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ, რომელიც შთაგონებული იყო სსრკ-ის მთავრობის მიერ. საქართველოს პარლამენტმა ჰოლოდომორი გენოციდად 2005 წელს აღიარა. გაზაფხულზე ბელგიის პარლამენტის ქვედა პალატამ, ისლანდიის პარლამენტმა და საფრანგეთის ზედა პალატამ, ასევე, სლოვენიის პარლამენტმა და ბრიტანეთის თემთა პალატამ გადადგეს მსგავსი ნაბიჯები.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

უცხოეთი

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა და ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ტრანსატლანტიკური უსაფრთხოებისთვის უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომის შედეგები და ნატოს შეკავებისა და თავდაცვის პოლიტიკის გაძლიერების მნიშვნელობა განიხილეს, - ამის შესახებ ინფორმაციას თეთრი სახლის პრესსამსახური ავრცელებს. „ისინი მიესალმნენ მხარდაჭერას, რომელსაც მოკავშირეები და პარტნიორები ორმხრივად უზრუნველყოფენ, რათა დაეხმარონ უკრაინას, დაიცვას თავი რუსული აგრესიისგან“, - აღნიშნულია ინფორმაციაში. საუბარი იყო შვედეთის ნატოში სწრაფ გაწევრიანებაზეც. მათ გამოთქვეს სურვილი, შვედეთს ალიანსში რაც შეიძლება მალე მიესალმონ.

* * *

თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი ინაუგურაციის შემდეგ, ქვეყნის საზღვრებს გარეთ პირველი ოფიციალური ვიზიტით, აზერბაიჯანს ეწვია. პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ, მხარეებმა ბაქოსა და ანკარას შორის პარტნიორული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების პერსპექტივები გაფართოებულ ფორმატში განიხილეს. აზერბაიჯანის პრეზიდენტის თქმით, ბაქო და ანკარა აქტიურად თანამშრომლობენ გაზის, ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობქიმიური პროდუქციისა და ელექტროენერგიის საკითხებში. „აზერბაიჯანიდან თურქეთში ბუნებრივი აირის ექსპორტი წლიდან წლამდე იზრდება და მომავალშიც გაიზრდება“, - განაცხადა ილჰამ ალიევმა თურქ კოლეგასთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე. როგორც მან აღნიშნა, აზერბაიჯანული გაზის ევროპაში, თურქეთის გავლით, ექსპორტიც იზრდება და ამაზე დიდი მოთხოვნა არსებობს.

* * *

უკრაინის კონტრშეტევა ფართომასშტაბიანია, - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სამხედრო კორესპონდენტებთან შეხვედრისას. „ეს არის ფართომასშტაბიანი კონტრშეტევა, რომლის დროსაც, როგორც ახლახანს საჯაროდ ვთქვი, გამოიყენება ამ მიზნებისთვის მომზადებული რეზერვები“, - აღნიშნა პუტინმა. მან, ასევე, ისაუბრა კახოვკის ჰესზე და განაცხადა, რომ უკრაინული მხარე დამნაშავეა კახოვკის ჰიდროელექტროსადგურზე მომხდარ ტრაგედიაში. მისი თქმით, უკრაინა ამისთვის იბრძოდა მიზანმიმართულად და არაერთხელ დაარტყა HIMARS-ით ჰიდროელექტროსადგურს.

* * *

ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს განცხადებით, რუსეთის ტაქტიკური ბირთვული იარაღი რამდენიმე დღეში ბელარუსის ტერიტორიაზე განთავსდება. „ტაქტიკური ბირთვული იარაღის განთავსება ჩემი მოთხოვნა იყო. რატომ? იმიტომ, რომ მსოფლიოში არავინ წასულა ომით ბირთვული ძალის წინააღმდეგ. მე არ მინდა, ვინმემ ომი დაიწყოს ბელარუსის წინააღმდეგ. არის ასეთი საფრთხე? არის. მე უნდა გავანეიტრალო ეს საფრთხე“, - განაცხადა ალექსანდრე ლუკაშენკომ.

* * *

გაეროს მონაცემებით, 2022 წელს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, სამხედრო კონფლიქტების, დევნის, ძალადობისა და ადამიანის უფლებების დარღვევის გამო, 108,4 მილიონმა ადამიანმა სამშობლო დატოვა. 2023 წლის მაისისთვის ეს რიცხვი 110 მილიონამდე გაიზარდა. ლტოლვილთა რაოდენობის მკვეთრი ზრდის მიზეზად რუსეთ-უკრაინის ომი სახელდება.

მოამზადა
ია შველიძემ

მოწვეული ექსპერტები უახლოეს ხანში გვამცნობენ, თუ რა საფრთხის წინაშეა შავი ზღვა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ზღვაზე დასვენების, რუჯისა და ბანაობის სეზონი იწყება, მაგრამ ბოლო ხანებში მასმედიით შემაშფოთებელი ინფორმაციები ვრცელდება, რომელთა მიხედვით შავ ზღვაში ცურვა სახიფათოა არაერთი გარემოების გამო. ჩვენ შევეცადეთ, თავი მოგვეყარა მათთვის და გაგვერკვია, რამდენად გასათვალისწინებელია გამაფრთხილებელი ნოტები, რომლებიც სულ უფრო ხშირად ისმის

უკრაინაში კახოვკის ჰესის დანგრევისა და წყალდიდობის შედეგად, შესაძლოა, საფრთხე შავ ზღვასაც შეექმნას. ეკოსისტემის დაზიანების გარდა, გაჩნდა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკები, მათ შორის - საქართველოშიც. საინჟინრო კონსტრუქციების ნგრევის შედეგად დაიტბორა რამდენიმე ათეული დასახლება, ხალხი უსახლკაროდ დარჩა, დაკარგულად მიიჩნევა არაერთი ადამიანი და მასობრივად დაიხოცა ცხოველები, მათ შორის კახოვკის ზოოპარკში.

ექსპერტები ამბობენ, რომ წყლის დიდი ნაკადი ხერსონის ოლქის ქალაქებისა და სოფლებისკენ დაიძრა. მალევე დაიწყეს ლაპარაკი ნაღმების დაძვრის დიდ საფრთხეზე, რომლის მოგვარებასაც შესაძლოა, ათობით წელი დასჭირდეს.

გაეროს გენერალური მდივნის პრესსპიკერმა სტეფან დიუჟარიკმა განაცხადა, რომ წყალდიდობისა და წყლის სწრაფი მოძრაობის გამო, ნაღმები შესაძლოა მოხვდეს ისეთ ადგილებში, რომლებიც ადრე უსაფრთხოდ ითვლებოდა, რაც ნიშნავს, რომ შესაძლოა, წლების შემდეგ მშვიდობიანი ადამიანები აფეთქდნენ კონფლიქტის ზონიდან ძალიან შორს - მინდორში მუშაობისას, საძოვრებზე საქონლის გარეკვისა თუ ზღვის სანაპიროზე დასვენებისას.

ექსპერტების შეფასებით, რადგან მდინარე დნეპრი შავ ზღვაში ჩაედინება, წყლის ძლიერი ნაკადი ნაღმებს ზღვაშიც ჩარეცხავს. სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ კაპანაძე ვარაუდობს, რომ ამ გზით შავ ზღვაში შეიძლება მოხვდეს როგორც ტანკსაწინააღმდეგო, ასევე ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები, თუმცა ტანკსაწინააღმდეგო მძიმე ნაღმების შორ მანძილზე გადაადგილება ნაკლებად მოსალოდნელია, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებმა კი შესაძლოა, საქართველოს სანაპირო ზოლამდეც მოაღწიოს.

„ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს პლასტმასის კორპუსი აქვს და უფრო მდგრადია ზღვის მარილიანი წყლის მიმართ, ვიდრე ლითონისკორპუსიანი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები. შესაბამისად, ისინი უფრო დიდხანს გაძლებენ. ღმერთმა ქნას, რომ ისეთ ადგილას ჩაიტანოს, სადაც ადამიანებს არ მოუწევთ ფეხის დაბიჯება. ვფიქრობ, გემებსა და ხომალდებს ის ხელს არ შეუშლის, რადგან ფსკერზე იქნება, მაგრამ ადამიანებისთვის საშიშია. თუკი იგი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმს დაადგამს ფეხს, შეიძლება სხეულის მნიშვნელოვანი დაზიანება მიიღოს, მაგალითად, ტერფის მოწყვეტა“, - აღნიშნა ვახტანგ კაპანაძემ.

აქამდე, უკრაინაში რუსეთის მიერ წარმოებული ომის ფონზე, უკრაინისთვის და შავი ზღვის აუზის სხვა ქვეყნებისთვის ე. წ. მცურავი ნაღმების, მოწყვეტილი ნაღმების პრობლემა გამოიკვეთა. ერთი ასეთი ნაღმი 13 თებერვალს ბათუმის სანაპიროზეც აფეთქდა.

ეკოლოგები ასევე შიშობენ, რომ მომხდარი კატასტროფის შედეგად, როცა შავ ზღვაში ერთბაშად მდინარის წყლის ასეთი დიდი ნაკადი ჩაიღვრება, შავი ზღვის წყალი გამტკნარდება და ზღვის ეკოსისტემას რეალური საფრთხე დაემუქრება. შესაძლოა, განადგურდეს მარილიანი წყლის თევზების თუ წყალმცენარეების არაერთი სახეობა (მტკნარ წყალში მარილის შემცველობა 1%-ს არ აღემატება).

მომხდარს „დიდ ჰიდროდარტყამად“ აფასებს გეოსაინფორმაციო სისტემების მონაცემთა მსოფლიო ცენტრის ლაბორატორიის ხელმძღვანელი სერგეი გაპონი: „შავი ზღვა თავის აკვატორიაში გაზავებული იქნება (მტკნარი წყლით) რამდენიმე ათეულ კილომეტრზე. ეს გამოიწვევს მისი ბინადრების ძალიან დიდი რაოდენობით დაღუპვას ათობით კილომეტრის დაშორებითაც იმ ადგილიდან, სადაც დნეპრი ეშვება შავ ზღვაში“, - ამბობს ექსპერტი.

ექსპერტები ასევე შიშობენ, რომ შავ ზღვაში მოხვდება დიდი ოდენობით ტოქსიკური ნივთიერებები, საწვავი - ზეთები და ცხოველთა ლეშის ბაქტერიები, რაც შავი ზღვის სანაპირო ზოლს მნიშვნელოვნად დააბინძურებს.

უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელმა ანდრეი ერმაკმა ტვიტერზე ვიდეო გაავრცელა, რომელზეც დიდი რაოდენობით მკვდარი თევზია ასახული და აღნიშნა, რომ დნეპროპეტროვსკის ოლქში ეს ყველაფერი რუსეთის მიერ კახოვკის ჰესის ტეროორისტულად განადგურებამ გამოიწვია.

სერიოზული პრობლემების წინაშე დადგა საირიგაციო სისტემაც, რამაც შესაძლოა, მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მარცვლეულის დეფიციტი გამოიწვიოს.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ შავ ზღვაში ცურვა საფრთხის შემცველია.

„აჭარა“ ამ საკითხზე ეკოლოგიის ექსპერტს, ასოციაცია „ფლორა და ფაუნას“ დამფუძნებელ **კახა გუჩმანიძეს** ესაუბრა.

- აღნიშნულ რისკებზე საუბარი ჯერ დასაბუთებით არ შეგვიძლია. ახლო მომავალში ბათუმში ექსპერტების ჩამოსვლას ველოდებით, რომლებმაც შავი ზღვის სინჯი უნდა აიღონ და ლაბორატორიულად შეამოწმონ. სწორედ ამის შემდეგ გვეცოდინება მყარად, რამდენადაა საფრთხის შემცველი შავი ზღვა. გვესმის, რომ ამ საკითხზე თითოეულმა განცხადებამ შეიძლება სერიოზული ეკონომიკური კრიზისი გამოიწვიოს, ამიტომ მასზე საუბრისას სიფრთხილე აუცილებელია. ვარაუდის დონეზე შეიძლება ვთქვათ,

რომ მტკნარი წყლის შავ ზღვაში ჩადინებამ ცხოველთა სამყაროს გარკვეული პრობლემები შეუქმნას, თუმცა ის აზრი, რომ შავ ზღვაში ცურვა საფრთხის შემცველია, მცდარია, რადგან ამის არანაირი მტკიცებულება ხელთ არ გვაქვს, - გვითხრა კახა გუჩმანიძემ.

რუსმა სამხედროებმა ჰესი, როგორც თავად აცხადებდნენ, ჯერ კიდევ 2022 წლის შემოდგომაზე დანაღმეს, როდესაც უკრაინელების კონტრშეტევის შედეგად ოკუპირებული ხერსონის დიდი ნაწილის მიტოვება მოუწიათ. არსებობს რამდენიმე თვის წინ გადაღებული ვიდეოკადრებიც, სადაც რუსი სამხედროების მიერ კაშხლის საყრდენი ბურჯებისა და მისადგომი გზის ნაწილის აფეთქებაა ასახული.

რუსულენოვანი ქვითარი და ფასი რუსულ რუბლში – ბათუმის ორ ობიექტში

მართა იბერიელი 27 48 93

რუსულენოვანი ქვითარი და ფასი რუსულ რუბლში - სოციალურ ქსელში ბათუმში გადაღებული ფოტოები გავრცელდა



ერთ-ერთი მათგანი კვების ობიექტ „მაკშაურმაში“ იყო გადაღებული და მიუთითებდა, რომ დამოუკიდებლად შეკვეთისთვის განთავსებული მონიტორები რუსულ ენაზეც სთავაზობდა მომხმარებელს სერვისს, რის შემდეგაც რუსულენოვან ქვითარს გასცემდა. ამან მოქალაქეთა პროტესტი გამოიწვია.

მეორე ფოტო გადაღებულია ბათუმში, ტანსაცმლის მაღაზია „ელსივაიკიში“. ფოტოზე ჩანს, რომ ერთ-ერთ გასაყიდ საზაფხულო ქუდს ფასი რუსულად, რუსულ რუბლებში აქვს მითითებული.

„ელსივაიკიში“ გადაღებული ფოტოს ავტორმა დიანა ნიკოლაიშვილმა დაწერა, რომ ძალიან გაბრაზდა, როცა ფასი რუსულ რუბლში აღმოაჩინა.

კვების ობიექტ „მაკშაურმაში“ უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი ომის დაწყებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში განთავსებული იყო წარწერა - „დიდება უკრაინას“. მოგვიანებით ეს წარწერა გაქრა და მენიუს, ქართულ და ინგლისურ ენებთან ერთად, რუსულიც დაემატა.

„მაკშაურმა“ ფეისბუქზე გამოეხმაურა რუსულენოვანი ქვითრების საკითხს, სადაც ამბობს, რომ კომპანიის ფილიალებში ყველა ქვითარი მხოლოდ ქართულ ენაზე იბეჭდება, ამასთან, ისინი გმობენ რუსულ აგრესიას.

„ჩვენი ერთგული მომხმარებლებისთვის ცნობილია, რომ „მაკშაურმის“ ფილიალებში მომსახურება ხორციელდება და ყველა ქვითარი იბეჭდება მხოლოდ ქართულ ენაზე. შეკვეთების სწრაფად განხორციელების მიზნით, 2020 წლიდან დაინერგა თვითმომსახურების ჯიხურების ფუნქციონირება, რომელიც მომხმარებელს შეკვეთის განხორციელების საშუალებას აძლევს რამდენიმე ენაზე. იმის მიხედვით, თუ რომელი ენა აქვს არჩეული მომხმარებელს, ჯიხური შესაბამის ენაზე უბეჭდავს შეკვეთის საინფორმაციო ფურცელს. აღნიშნულ შემთხვევაში, მომხმარებელმა შეკვეთის ენად აირჩია ერთ-ერთი - რუსული, შესაბამისად, ფოტოზე ნაჩვენები საინფორმაციო ფურცელი ამოიბეჭდა ამ ენაზე. დავაზუსტებთ, რომ ქართულ ენაზე შეკვეთის შემთხვევაში, საინფორმაციო ფურცელი იბეჭდება ქართულ, ხოლო ინგლისურად შეკვეთის შემთხვევაში - ინგლისურ ენებზე. თვითმომსახურების აპარატებში რამდენიმე ენის ჩაშენების მიზანი იყო, მიგვეცა საშუალება ჩვენი მომხმარებლებისთვის, დამოუკიდებლად განეხორციელებინათ შეკვეთა სხვადასხვა ენაზე. ჩვენი კომპანიის ღირებულებებიდან გამომდინარე, ქართული ენა არის და იქნება ერთადერთი მომსახურების ენა, ნებისმიერი „ჩეკი“ კომპანიაში იბეჭდება მხოლოდ ქართულ ენაზე და მისი ჩანაცვლება არასდროს მომხდარა და არც მოხდება. „მაკშაურმა“ არის ქართული, ეროვნული პროდუქტი და ის ერთმნიშვნელოვნად ემიჯნება რუსულ ოკუპაციას. ვწუხვართ იმის გამო, რომ რუსულ ენაზე დაბეჭდილმა საინფორმაციო ფურცელმა საზოგადოებას გაუჩინა ნეგატიური დამოკიდებულება. სწორედ ამიტომ ყველა თვითმომსახურების ჯიხურიდან სრულიად ამოვიღეთ რუსული ენა. ჩვენ ვგმობთ რუსულ აგრესიას“, - წერს „მაკშაურმა“.

რაც შეეხება „ელსივაიკიკს“, ამ ქსელური სავაჭრო ობიექტის რეგიონული მენეჯერი საქართველოში ემინ ხასანოღლი განმარტავს, რომ ფოტო ერთეულ შემთხვევას გამოხატავს, რომელიც შესაძლოა „ადამიანური შეცდომის გამო გაიპარა“. მისი თქმით, მაღაზიაში არც განფასება ხდება რუსულ რუბლში და არც ვაჭრობა რომელიმე სხვა ვალუტაში, გარდა ლარისა.

„ზოგადად, პროდუქცია იწარმოება სხვადასხვა ქვეყანაში, თურქეთში, ბანგლადეშში და ა. შ. შესაბამისად, სრულიად შემთხვევით შეიძლება მოხვდეს პროდუქცია, რომელიც არ იყო განკუთვნილი საქართველოს ბაზრისთვის. როდესაც ხვდება ასეთი პროდუქცია ჩვენთან, ჩვენ ვცვლით ან ზემოდან ვაკრავთ ფასზე (ქართულ ეტიკეტს). უბრალოდ, შეიძლება ვიღაცამ ააძრო ეტიკეტი, გადაიღო ეს სურათი და გამოიყენა სოციალურ ქსელში. თქვენ რამდენი რუსული ეტიკეტი შეგხვდათ ჩვენთან? მე არ შემხვედრია, მაგალითად. ეს ერთი იყო, რაც შეიძლება თანამშრომელს გამორჩა. „ელსივაიკიკის“ მაღაზიები არის ძალიან ბევრ ქვეყანაში, მათ შორის - რუსეთში. ჩვენ გამოგვიგზავნეს პროდუქცია, რომელიც უნდა გაგზავნილიყო რუსეთში, მაგრამ გამოიგზავნა საქართველოში, რა პრობლემას ხედავთ ამაში? ეს ნივთი იყო წარმოებული თურქეთში რუსეთში გასაგზავნად და, უბრალოდ, მოვიდა ჩვენთან. სხვა ვალუტაში ვაჭრობას რაც შეეხება, ეს ეწინააღმდეგება კანონს და, რასაკვირველია, არ ხდება ჩვენთან“, - ამბობს „ელსივაიკიკის“ მენეჯერი საქართველოში.

ცვლილებების გზით აღმოაჩინე ის, რაც უცვლელია, ანუ როგორ მოვახდინოთ საკუთარი ცხოვრების ტრანსფორმაცია?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*ახალი რეალობა, ტექნოლოგიური სიახლეები და ციფრული გადაწყობა თითოეული ჩვენგანისგან ტრანსფორმაციას ითხოვს. როგორ მოახდინოს ადამიანმა საკუთარი ცხოვრების ტრანსფორმაცია? როგორ უნდა გაიკვალოს გზა ახალი ცნობიერებისაკენ? რას მოითხოვს ჩვენგან სამყაროს ხედვის ახალი რაკურსი - გზა ამისაკენ ნეიროვარჯიშებია. ნეიროპლასტიკურობას თუ სინქრონულად გამოვიყენებთ ყოველდღიურობაში, ცვლილებების გზით აღმოვაჩენთ უმთავრესსა და უცვლელს ჩვენს არსებობაში. სწორედ ამის თაობაზე საუბრობს საინტერესო ინტერვიუში ნეიროვარჯიშებისა და სინქრონიზაციის შესახებ მასტერკლასების ავტორი, ციფრული შიგთავსის შემქმნელი, ცნობილი მეცნიერი და პოეტი, ქალბატონი **ცირა ბარბაქაძე.***

- თქვენი ვიდეოლექციები დაინტერესებას იწვევს. ნეიროვარჯიშები, რომლებსაც სოციალურ ქსელებში ეტაპობრივად სთავაზობთ მომხმარებელს, გასცდა ამ სივრცეს, გყავთ მიმდევრები. იქნებ ჩვენს მკითხველს უთხრათ, როგორ უნდა გადაეწყონ ახალ ცნობიერებაზე?

- ნეიროსავარჯიშოების გამოქვეყნებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ჩემდა გასაკვირად, ათობით ათასი ადამიანი დაინტერესდა ტიკტოკზე და ფეისბუქზე. ეს მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავს: ადამიანები მზად არიან ტრანსფორმაციისთვის. მხოლოდ ნეიროსავარჯიშოები არ ცვლის ადამიანს, თუ უკვე მზად არ არის ცნობიერება ცვლილებებისთვის. ნეიროსავარჯიშოები მხოლოდ ნიშანია, მინიშნება, რომ საჭიროა ტრანსფორმაცია, განახლება. რთულია, ერთი კონკრეტული რჩევა მისცე ადამიანს ახალ ცნობიერებაზე გადასაწყობად. ეს პროცესი იწყება ცვლილებების წყურვილით, ნეგატიური ენერგიის გარდაქმნით, სიყვარულის ენერგიის გააქტიურებით, სამყაროს მიღებით, იმაზე პასუხისმგებლობის აღებით, რასაც ფიქრობთ, რასაც გრძნობთ, რასაც განიცდით, რასაც ამბობთ და რასაც აკეთებთ. ამ ყველაფრის გაცნობიერებით ადამიანი ხდება საკუთარი ცხოვრების ტრანსფორმერი და შემოქმედი... მოკლედ, ეს არის ძალიან დიდი და ღრმა „სამუშაო“.

- ნეიროვარჯიშები გზაა ახალი ცნობიერებისაკენ?

- ახალი ეპოქის გამოწვევების შესაბამისად, თანამედროვე ადამიანი ან „გამოიღვიძებს“ და გააკეთებს ნახტომს ცნობიერებაში, ან მოექცევა ტექნოლოგიების და ციფრული ეპოქის გავლენაში, როცა ის უბრალოდ ბიოროობოტი იქნება. შემეცნებისათვის მნიშვნელოვანია უნარების ცალ-ცალკე გააქტიურება კი არა, არამედ მათი სინქრონიზაცია. სინქრონიზებული უნარები სრულიად განსხვავებულად მუშაობს. შედეგად, ადამიანი არის უფრო განუყოფელი, ჰოლისტური და დაბალანსებული. ტვინის მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროების სინქრონიზაცია ხელს უწყობს ჩვენს განვითარებას, აუმჯობესებს ჩვენს კეთილდღეობას და ცხოვრების ხარისხს. ეს კი საშუალებას გვაძლევს, უკეთ გავუგოთ საკუთარ თავს და სხვებს, გავაფართოოთ ჩვენი შესაძლებლობები და მივაღწიოთ ჰარმონიას ემოციური და რაციონალური ასპექტების შერწყმით. „მოძრაობას თავისი მოქმედებით შეუძლია შეცვალოს ნებისმიერი წამალი, მაგრამ მსოფლიოს ვერც ერთი სამედიცინო საშუალება ვერ შეცვლის მოძრაობის მოქმედებას“ - ამბობს ავიცენა.

- რა შეუძლია ნეიროვარჯიშებს?

- ისინი ხელს უწყობს ინტელექტუალური და ფსიქიკური შესაძლებლობების განვითარებას. ტვინის გააქტიურებით და სინქრონიზაციით უმჯობესდება მეხსიერება, ყურადღება, აღქმა, მეტყველება, მოტორული უნარები, აზროვნება, კრეატიულობა, შემოქმედებითობა, თვითრეგულირება, თვითშეფასება, მოტივაცია და ზოგადი სომატური ჯანმრთელობა.

- ამბობთ, რომ ნეიროსავარჯიშოები გავლენას ახდენს ჩვენი ტვინის ნეირონებზე. როგორ განიცდის ტვინი ცვლილებას?

- ნეიროპლასტიკა არის ტვინის უნარი, შეცვალოს თავისი სტრუქტურა და ფუნქცია გამოცდილების, სწავლისა და ვარჯიშის საშუალებით. ეს არის ტვინის ფუნდამენტური თვისება, რომელიც საშუალებას აძლევს მას, მოერგოს ახალ სიტუაციებს, შეიძინოს ახალი ცოდნა და განავითაროს ახალი უნარები.

- მაგრამ ისმის კითხვა: როგორ გამოვიყენოთ ნეიროპლასტიკურობა ყოველდღიურობაში?

- წარმოიდგინეთ თქვენი ტვინი, როგორც კოლოსალური ენერგეტიკული სისტემა. მილიარდობით „გზა“ ინთება ყოველ ჯერზე, როცა რაიმეს ვფიქრობთ, ვგრძნობთ ან ვაკეთებთ. ნეიროპლასტიკურობის ამოქმედება ნიშნავს ახალი გზების გაყვანას და არსებული საუკეთესო გზების გაძლიერებას. „ნეირონები, რომლებიც ერთად აინთებიან, ერთმანეთს უერთდებიან, ხოლო ნეირონები, რომლებიც არასინქრონიზებულად მუშაობენ, ვერ ახერხებენ კომუნიკაციას“. ნეიროპლასტიკურობის პროცესში ტვინს შეუძლია შექმნას ახალი კავშირები (სინაფსები) ნეირონებს შორის ან გააძლიეროს არსებული კავშირები გარკვეული სტიმულის ან განმეორებითი აქტივობის შედეგად. ნეირობიოლოგი, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მკვლევარი, დოქტორი ტარა სვარტი, რომელსაც ეკუთვნის ბესტსელერი: „Brain Bible“, ნეიროპლასტიკურობას ადარებს გზების მშენებლობას. „იფიქრეთ იმაზე, რომ გრუნტის გზიდან ავტომაგისტრალზე გადადიხართ, შემიძლია ვთქვა, რომ იმ ტრასაზე ვაპირებ მუშაობას, რომელიც ამჟამად გრუნტის გზაა. რაც უფრო მეტს ვიყენებ და რაც უფრო მეტად ვიმეორებ მოქმედებებს, შევძლებ მის მაგისტრალად გადაქცევას“. აი, ამ ახალ გზაზე კი ყველაფერი სხვაგვარად ხდება....

- როგორია სამყაროები ცალ-ცალკე მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროთი მოდელირებული?

- ცალ-ცალკე თავის ტვინის მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფერო ქმნის სრულიად განსხვავებულ და საპირისპირო სამყაროებს. მარჯვენა ნახევარსფეროს სამყარო მოდელირებულია როგორც ცოცხალი, მთლიანი, ფერადი, მრავალფეროვანი, ინდივიდუალური და უნიკალური სამყარო, რომელიც ურთიერთქმედებით განიცდის განუწყვეტელ ტრანსფორმაციას, სამყარო, რომელთანაც ჩვენ სიღრმისეულად ვართ დაკავშირებული. მარცხენა ნახევარსფეროს სამყარო კი არის: სტატიკური, გამოყოფილი, დაძაბული, იზოლირებული, ფრაგმენტირებული, კლასებად დაყოფილი, რომელზე დაყრდნობითაც კეთდება პროგნოზები. ამ სამყაროში ძველი გამოცდილებების რე-პრეზენტაცია ხდება, არ არის ადგილი სიახლეებისთვის.

- რა წარმოქმნის განსხვავებულ სამყაროებს?

- ყურადღების ფოკუსი, რომელსაც ჩვენ მივმართავთ სამყაროზე, ფაქტობრივად, ცვლის მას: ჩვენ ვართ პარტნიორები ქმნადობის პროცესში (იენ მაკგილხრისტი - ბრიტანელი მკვლევარი, ფსიქიატრი, მწერალი). მაკგილხრისტის მიხედვით, მარჯვენა ნახევარსფერო მთლიანია, მთელზე ორიენტირებული, ხოლო მარცხენა - დეტალებზე. ამიტომ მარჯვენა ნახევარსფეროს მეცნიერი უწოდებს მთავარს, ხოლო მარცხენას - მის აგენტს. სამწუხაროდ, ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელშიც დომინანტი მარცხენა ნახევარსფეროა. ბავშვობაში მარჯვენა ნახევარსფერო ყოველთვის არის online, ანუ უფრო ადრეულია, ვიდრე მარცხენა. მარჯვენა ნახევარსფეროს სამყარო არის სეპარაციამდელი, განუყოფელი მანამდე, ვიდრე მარცხენა ნახევარსფერო მას არ აქცევს რაღაც სხვად, როცა მოახდენს მის რე-პრეზენტაციას. არ შეიძლება ითქვას, რომ მარჯვენა ნახევარსფერო აერთებს და აკავშირებს, რადგან მას საქმე აქვს იმასთან, რაც არასდროს გაყოფილა. ასეთია McGilchrist-ის აღწერა.

- და რას ნიშნავს სინქრონიზაცია?

- მარჯვენა ნახევარსფერო საჭიროებს მარცხენას, რათა შესაძლებელი იყოს გამოცდილების (ემოციების, გრძნობების, შეგრძნებების...) „განფუთვა“. ეჭვგარეშეა, რომ მისი სტრუქტურირების გარეშე არ იქნებოდა ხელოვნება, განცდა დარჩებოდა განცდად. როგორც ჩანს, მარცხენა ნახევარსფეროს მიერ ამ გამოცალკევების შემდეგ, უნდა მოიძებნოს ახალი კავშირები, რომელიც პროცესს დააბრუნებს მარჯვენა ნახევარსფეროში. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ის ცოცხალი. მოკლედ, იენ მაკგილხრისტის მიერ მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროთა განხილვა და ურთიერთკავშირი ყველაზე მეტად შეესაბამება ჩემს იდეას, რაც, ამ შემთხვევაში, უკავშირდება ნეიროსავარჯიშოებს, რომლებიც ახდენენ მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროთა სწორ დაკავშირებას ერთმანეთთან და მარცხენა ნახევარსფეროს მიერ ინფორმაციის ადეკვატურად „გადმოთარგმნას“. ეს არის სინქრონიზაცია.

- 3 რჩევა, რომელსაც მისცემდით ჩვენს მკითხველებს.

- ეს რჩევები სხვადასხვა დროს და კონტექსტში ალბათ სრულიად სხვადასხვა შეიძლება იყოს. ახლა რაც შეიძლება ვთქვა, ეს არის: 1. გიყვარდეს უპირობოდ; 2. აენთე და აანთე; 3. ცვლილებების გზით აღმოაჩინე, რაც უცვლელია!

> ***„წარმოიდგინეთ თქვენი ტვინი, როგორც კოლოსალური ენერგეტიკული სისტემა. მილიარდობით „გზა“ ინთება ყოველ ჯერზე, როცა რაიმეს ვფიქრობთ, ვგრძნობთ ან ვაკეთებთ. ნეიროპლასტიკურობის ამოქმედება ნიშნავს ახალი გზების გაყვანას და არსებული საუკეთესო გზების გაძლიერებას. „ნეირონები, რომლებიც ერთად აინთებიან, ერთმანეთს უერთდებიან, ხოლო ნეირონები, რომლებიც არასინქრონიზებულად მუშაობენ, ვერ ახერხებენ კომუნიკაციას“***



ბსუ-ის ინფორმაციით...

ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი მერაბ ხალვაში, ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი ირაკლი კორძაია, ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-14 საერთაშორისო გამოფენა „EBIT 2023“-ის“ სტაჟირებაში მონაწილე ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტები, საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის თავმჯდომარე ოსმან ჩალიშქან-მჟავანაძესთან ერთად, სინოპის უნივერსიტეტს ეწვივნენ.

უმაღლესი სასწავლებლის ცნობით, ვიზიტის ფარგლებში, სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, შეხვედრები გაიმართა სინოპის უნივერსიტეტის რექტორთან, გუბერნატორთან, მერთან, სინოპის კულტურისა და ტურიზმის დირექტორთან, ასევე სინოპის, ფაცის, ჩარშამბის და სალიფაზარის ქართული კულტურისა და თანამეგობრობის ასოციაციის თავმჯდომარეებსა და წევრებთან, ჩვენებურებთან.

„ვიზიტის დასასრულ დელეგაციის წევრები ქ. ტრაპიზონში საქართველოს გენერალურ კონსულ გელა ჯაფარიძეს შეხვდნენ. შეხვედრის ფარგლებში გენერალურმა კონსულმა, სტუმრებს დეტალურად გააცნო გენერალური საკონსულოს მუშაობის სპეციფიკა და სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა.

ვიზიტის ფარგლებში, ბსუ-ის ტურიზმის ფაკულტეტის 30-მდე სტუდენტი სინოპის უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, ტურიზმის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებსა და სინოპის ტურისტულ პოტენციალს გაეცნენ.

ვიზიტი საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციისა და საერთაშორისო გამოფენებისა და ღონისძიებების კომპანია „ექსპო ბათუმის“ მხარდაჭერით განხორციელდა“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

«ამ საღამომ კიდევ ერთხელ დამანახა, რომ საზოგადოებაში ჩემი ადგილი მაქვს»

პროფესიით პედაგოგი, სპეციალობით ისტორიკოსი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, იაკობ გოგებაშვილის მედლის მფლობელი, სამი წიგნის, მათ შორის ისტორიულ რომან «ნატო ხინოწმინდელის» ავტორი, მხატვარი, ყოფილი ძალოსანი დავით ჟათამაძე 75 წლის გახდა. მას მშობლიური სოფლის - ჭვანის საჯარო სკოლამ, შუახევის საზოგადოებამ დაბადებიდან 75 და საზოგადოებრივ-პედაგოგიურ ასპარეზზე საქმიანობის 50 წლის იუბილე საზეიმოდ გადაუხადა. მასთან ინტერვიუ ღონისძიების დასრულების შემდეგ ჩავიწერეთ.

- ყველა ადამიანს ცხოვრებაში, დაუვიწყარი წელი, დღე აქვს. 2023 წლის 13 ივნისი ჩემს ბიოგრაფიაში სწორედ ასეთია. ამაღლებული განწყობა მიმყვება ამ ღონისძიებიდან. სამი თაობის წარმომადგენლები მეფერებოდნენ - ჩემი თაობის შუახეველები, ყოფილი მოსწავლეები, კოლეგები, ახლანდელი აღსაზრდელები. მათ ნატო დედოფალი, გმირი ქალი, მისი თავდადება, რჯულისა და მშობლიური კუთხისადმი ერთგულება ამაღლებდათ. ისტორიკოსმა, მრავალ მივიწყებულ ფაქტს, მოვლენას თავი მოვუყარე და მკითხველს ერთი წიგნად მივართვი. პედაგოგიური საქმიანობა, ისტორიკოსის სპეციალობა, ორი ხეობის წარსულის ცოდნა და საკუთარი თვალით დანახული დღევანდელობა რომ არა, ეს ისტორიული რომანი წიგნის თაროს ვერ შემორჩებოდა.

- თქვენი თვალით დანახული დღევანდელობა როგორია?

- ურბანულმა პროცესებმა მრავალი სოფელი, თუნდაც ხეობა დააცარიელა. ამ გამოწვევას ვერც ხინოწმინდა გადაურჩა. მდინარე კინტრიში-სწყლის ორივე ნაპირზე ორი კომლიღა შემორჩა ერთ დროს მდიდარ, თაფლით, საოცარი ტბებითა და ტყით მდიდარ ხეობას. ბნელ ღამეში ვარსკვლავი რომ გამოანათებს და გზააბნეულ მგზავრს სწორ მიმართულებას მისცემს, ამას ვადარებ იმ დიდ წამოწყებას, რაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის, ბათუმ-ლაზეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის, მიტროპოლიტ დიმიტრის ლოცვა-კურთხევით მიმდინარეობს - ხინოწმინდაში ქათამაძეების გვარის წარმომადგენლებმა სამლოცველო გავაკეთეთ. დიდი მოვლენაა ხინოწმინდის სამონასტრო კომპლექსის აღდგენა.

- როგორც საიუბილეო საღამოზე ითქვა, ახალ რომანზე მუშაობთ...

- დიახ. მისი პირობითი სახელია «სიყვარული და ღალატი». იგი წინა საუკუნეში ერთი ახალგაზრდის ცხოვრებასა და საქმიანობას ეძღვნება. მაქვს დაწერილი ახალი ლექსები. მათ ცალკე წიგნად გამოვცემ.

- პოეტს, ჭვანის ხეობის მკვიდრს, სხვადასხვა ღონისძიებაზე გიწვევენ. მათგან მნიშვნელოვანი რომელი იყო?

- თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ეთნომუსიკოლოგ ნინო რაზმაძის ინიციატივით «ჭვანის ხეობის ფოლკლორი» წარვადგინეთ. იქ და ბათუმის ხელოვნების ცენტრში გამოსვლა ჩემთვის საპასუხისმგებლო და დასამახსოვრებელი იყო. აქვე ვიტყვი, რომ ფესტივალი «ჯვარიმინდვრობის» წამოწყება, აწ განსვენებულ ბიზნესმენ სანდრო შარაშიძის ინიციატივითა და ხეობის სხვა ბიზნესმენების მხარდაჭერით გურიიდან ჭვანაში ჯვრის მთებზე გადმოტარებით გადმოსვენება, აქაურ მწერლებს მხედველობისა და ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს. ასევე ყურადსაღებია წყაროთის მკვიდრ ბიზნესმენ ლევან (ასლან) მჟავანაძის მუშაობა. იგი სოფლის მიტოვებულ ტერიტორიაზე, როგორც თქვენმა გაზეთმა დაანათლა, «მომავლის სოფელს» აშენებს.

- ხეობაში მომუშავე მწერლები ახსენეთ. ვინ გყავთ მხედველობაში?

- ვახტანგ გოგრაჭაძე, იოსებ ქათამაძე, პუბლიცისტი აკაკი ზოიძე. თავის დროზე კარგი საქმე გააკეთეს ჟურნალისტმა ნოდარ შარაშიძემ, პუბლიცისტმა დემურ ქათამაძემ. მათ დაგვიტოვეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი «ჭვანის ხეობა». ჩვენ ვაგრძელებთ იმ გზას რომელსაც სათავე დაუდეს სახალხო მთქმელებმა აქიფე, თოფია ქათამაძეებმა, თურქეთის რესპუბლიკაში მუჰაჯირად წასულმა რეჯებ მჟავანაძემ. ფასდაუდებელია სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პოეტ შოთა ზოიძისა და მისი ძმისშვილის - ზურაბ ზოიძის შემოქმედება.

- ორი შვილი გაზარდეთ ვალენტინა ჩოლტიანთან ერთად. მისი შობლები მეორე მსოფლიო ომის მონაწილენი იყვნენ, ერთობ საინტერესო ცხოვრებისეული გზა გაიარეს. მათზეც ხომ წერთ რამეს?

- სიდედრმა შუშანა მენაბდემ, სიმამრმა ნიკოლოზ ჩოლტიანმა ერთმანეთი მეორე მსოფლიო ომის წლებში გაიცნეს. ნიკოლოზის წინაპრები რუმინელები იყვნენ. პირველი მსოფლიო ომის წლებში ნიკოლოზის მამა ტყვედ ჩავარდა. ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ საცხოვრებლად უკრაინაში დარჩა. ნიკოლოზიც იქ დაიბადა. ამ წარმომავლობისა და ბიოგრაფიის ადამიანმა სიცოცხლე საქართველოში, კერძოდ, ბათუმში დაასრულა. სიდედრ-სიმამრი ბოლომდე ერთმანეთის ერთგულნი და მოსიყვარულენი იყვნენ. მინდა მათი სიყვარული, ნიკოლოზის საქართველოსადმი, ქართველი ერისადმი დამოკიდებულება მხატვრულ ფორმებში ავსახო და ერთგულ თანამეცხედრეს ვალენტინა ჩოლტიანს ვუსახსოვრო. იგი 17 წლის ასაკში აჭარის მთიანეთში, კერძოდ, ჭვანის საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მოავლინეს. პედაგოგად მუშაობას წლები შეალია. ახლა შვილებსა და შვილიშვილებს ელოლიავება მამით - რუმინელი და დედით ქართველი ქალი.

- ამბობთ, რომ კუთხისა და ერის წინაშე ჯერ კიდევ ვალში ხართ...

- მწერლობა სათუთი და საპატიო საქმეა. კონსტანტინე გამსახურდია მას ასე აფასებდა: «მწერლობა გველზე ნადირობაზე უფრო რთულია». კალმის ერთი ხელით მოსმა ხვალ რას მოგიტანს, იმაზე უნდა იფიქრო, მაგრამ არის მომენტი, როცა თავს გაგვებ ვიყრუებთ და ვიბრმავებთ. ქება-დიდება ყველას სიამოვნებს, «კარის პოეტები» ჯერ თავს იტყუებენ, შემდეგ მათ ატყუებენ, ვისაც პირში აქებენ და ზურგში ლახვარს სცემენ. სამი წიგნი ისე გამოვეცი, რომ კარდაკარ სიარულით, თხოვნით, ვინ არ შემიწუხებია. ლევან (ასლან) მჟავანაძემ საკუთარი ნებით თანადგომის ხელი გამომიწოდა. თანხის უკმარისობის გამო «ფალავანი» კარგა ხანს ელოდა დღის სინათლეს, მკითხველის სამსჯავროზე გამოსვლას. ჩვენი ვალია, მედროვენი, ლაქიები ვამხილოთ, ერისა და ქვეყნის საქმეს მივხედოთ. ლექსმა, მოთხრობამ, რომანმა დროს თუ ვერ გაუძლო, ავტორი სიცოცხლეშივე მკვდარია, ხოლო ნაწარმოები სანაგვეზე გასაქნევი. მწერალმა ცხოვრებას უნდა აუწყოს ფეხი.

- მეგობრის ფასი...

- სკოლის მერხიდან მოყოლებული მეგობრობას განსკუთრებულ ფასს ვადებ. მეგობარმა ითავა ჩემი წიგნების რედაქტორობა. მისივე დაჟინებული თხოვნით, პირველი წიგნი გამომცემლობაში მივიტანე. ჭვანის ხეობის საჯარო სკოლების ახლანდელი დირექტორები ჩემი მეგობრები არიან. მათ წიგნების რეალიზაციაში თანადგომა გამიწიეს. ასაკის მატებასთან ერთად, ავადმყოფობამ შემომიტია. მეგობრების დახმარებით დედაქალაქის წამყვან კლინიკებში მკურნალობის კურსი ჩავიტარე, რომ იტყვიან - სულზე მივასწარი. დღეს თავს კარგად ვგრძნობ. პედაგოგიურ ჯილდოზე გასვლა მინდოდა და მეგობრებმა არ დამანებეს. თანადგომას, გაწეულ ამაგს მეც სიკეთით ვპასუხობ. ამ საღამომ კიდევ ერთხელ დამანახა, რომ საზოგადოებაში ჩემი ადგილი მაქვს, მეგობრები პატივს მცემენ.

- როგორ პირობებში გიყვართ მუშაობა?

- ჭვანაში საკუთარი სახლი ავიშენე. ხიჭაურის დასახლებაში მრავალბინიან სახლში მიხდებოდა ცხოვრება და შრომა, სიდედრ-სიმამრმა კუთვნილი ბინა ანდერძით მეუღლეს დაუტოვეს. მეტწილ დროს მაინც ჭვანაში ვატარებ. სოფელი ჩემს შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს. რომ არა უხუცესი ადამიანების მონაყოლი, «ფალავანი» ვერ დაიწერებოდა. განსაკუთრებით ზაფხულის გრილი და წყნარი საღამო მიყვარს. აჭარა-შავშეთის ქედიდან მთვარე არემარეს შუქს რომ მოჰფენს, რაღაც, ვიღაც მეძახის, სულსა და გონებაში შემოძვრომას ცდილობს. მაშინ იწერება ლექსი, ჩანახატი, ნოველა. მყუდროებას მხოლოდ ოლოლის ძახილი ან ტურების კივილი არღვევს. «ფალავანი» სამ წელიწადს იწერებოდა. უფრო მეტი დრო და ენერგია მოვანდომე «ნატო ხინოწმინდელს». ისტორიული ფაქტები სიღრმისეულად მოვიკვლიე და მხატვრულ ფორმებში გავაცოცხლე. ხასიათიდან გამომდინარე, აჩქარება არ მიყვარს.

- მიმტევებელი თუ ხართ?

- ეროვნული ადათ-წესების დამცველი, ოჯახის, მეგობრებისა და მეზობლის მოყვარული თუ ხარ, მიტევების უნარიც უნდა გქონდეს. მეუღლე, შვილები, შვილიშვილები მართლმადიდებლობის მიმდევრები არიან. მეც ამ გზას შევუდგები. ხიჭაურის დასახლებაში სკოლის დირექტორად რომ დამნიშნეს, მაშინ იქაურობას რუსის ჯარი აკონტროლებდა. გაფიქრებაც კი წარმოუდგენელი იყო, რომ ყოფილ «ყაზარმებში» უნივერსიტეტის აუდიტორიები განთავსდებოდა, მოედანზე, სადაც მათი აღლუმები ტარდებოდა, ეკლესია წამოიმართებოდა და ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა ჩატარდებოდა. ყველაფერი ეს 17 წლის მონაგარია. პოეტი, მწერალი ამას ვეხმიანები და სხვების აყოლიებასაც ვცდილობ.

- მხატვრობითაც ხართ გატაცებული, სპორტშიც ცდიდით ძალებს...

- ხიჭაურისა და ჭვანის სკოლებში მუშაობისას რამდენიმე კონკურსში ვმონაწილეობდი. ხიჭაურელი მოსწავლეების ნახატებმა რესპუბლიკურ კონკურსზე სპეციალური პრიზი დაიმსახურა. სტუდენტობის წლებში სიმძიმის აწევაში აჭარის ჩემპიონი გავხდი. ვარჯიშს თავს არც ამ ასაკში ვანებებ. პეიზაჟების ხატვაც მიყვარს. ახლა ერთი წიგნი უნდა გამოვცე და მას მხატვრულად თავად გავაფორმებ. ხელოვნებისა და სპორტის სიყვარული შვილიშვილებმაც გამოამყღავნეს.

> *მეუღლე, შვილები, შვილიშვილები მართლმადიდებლობის მიმდევრები არიან. მეც ამ გზას შევუდგები. ხიჭაურის დასახლებაში სკოლის დირექტორად რომ დამნიშნეს, მაშინ იქაურობას რუსის ჯარი აკონტროლებდა. გაფიქრებაც კი წარმოუდგენელი იყო, რომ ყოფილ «ყაზარმებში» უნივერსიტეტის აუდიტორიები განთავსდებოდა, მოედანზე, სადაც მათი აღლუმები ტარდებოდა, ეკლესია წამოიმართებოდა და ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა ჩატარდებოდა. ყველაფერი ეს 17 წლის მონაგარია. პოეტი, მწერალი ამას ვეხმიანები და სხვების აყოლიებასაც ვცდილობ*

ჩანჩხალოში მოასფალტებული გზა იქნება

შუახევის მუნიციპალიტეტში სოფელი ჩანჩხალო იმ დასახლებების კატეგორიაშია, სადაც მეწყრული პროცესები მძლავრობს და სოფლის სასიცოცხლო არტერია - გზა ხშირად იკეტება. ამ პრობლემას ნაწილობრივ მოხსნის საავტომობილო გზის 3,5 კმ სიგრძის მონაკვეთზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება, რომლის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

პროექტის მიხედვით, გზასთან ერთად მოეწყობა ხელოვნური დამცავი ნაგებობები.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბეტონის საყრდენი კედლების, გაბიონის, ზღუდარების და სანიაღვრე არხების მოწყობა. ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების შემდეგ მოხდება სავალი ნაწილის ჰორიზონტალური მონიშვნა.

აღნიშნული გზა სოციალურთან ერთად ტურისტული მნიშვნელობისაცაა, რადგან უკავშირდება გომარდულის საკურორტო ზონას, ბარათაულის თემს, სოფელ სხეფსა და თერნალს.

პროექტის ღირებულება შეადგენს 1 999 994 ლარს. სამუშაოები დასრულდება მიმდინარე წლის ივლისში.

მიმდინარე სამუშაოებს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსი მამუკა თურმანიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ ფუტკარაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი დავითაძე დეპარტამენტის სპეციალისტებთან ერთად გაეცნენ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

ისეთი ემოციები უნდა დატრიალდეს, რომ მთელ წელიწადს გაგვყვეს

მალე შუახევის მუნიციპალიტეტი მეთერთმეტეჯერ უმასპინძლებს ჩვენი ქვეყნის მწერლებს - პოეტებსა და პროზაიკოსებს, ასევე, სხვა ხელოვანებს, რათა კვლავ ჩაერთონ ტრადიციად ქცეულ საინტერესო ფორმატისა და შინაარსის საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალში „ზეკართან“, რომლის იდეის ავტორი, დამფუძნებელი და სულისჩამდგმელი რეჟისორი ვახტანგ ბერიძე გახლავთ.

ბევრჯერ გვითქვამს და კვლავ სიამოვნებით გავიმეორებთ, რომ ფესტივალი „ზეკართან“ ძალიან მოუხდა და ორგანულად შეერწყა არა მარტო აჭარას, არამედ მთლიანად საქართველოს, აკი ვიცით, რომ მასში მონაწილეობას მთელი ქვეყნის ხელოვანები იღებენ. ფესტივალის ნაყოფიერება განსაკუთრებულად შესამჩნევია, რადგან აქ ჩამოსული მწერლები აჭარის მაღალმთიანეთის თვალწარმტაცი ბუნების ფონზე, სხვადასხვა ღირსშესანიშნაობის მონახულების შემდეგ შთაბეჭდილებების ქვეშ მყოფნი ქმნიან ახალ მხატვრულ-ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომელიც ფესტივალის ფარგლებშივე წიგნად გამოიცემა. ამ ლიტერატურული ფორუმის დაარსებიდან დღემდე არაერთი წიგნია გამოცემული, რაც თავისთავად მეტყველებს მის მნიშვნელობაზე. კარგია ისიც, რომ ვინც ფესტივალში ერთხელ მაინც მიიღებს მონაწილეობას, კვლავ ესწრაფვის ამას, ხოლო მათი ნაამბობით წაქეზებული ახალი მსურველებიც მრავლად ჩნდებიან.

Mმწერლებს და ლიტერატურის მოყვარულებს წელს კვლავ ელოდებათ პოეზიის საღამოები, საჯარო ლექციები, წიგნის გამოფენა-გაყიდვები, ფოლკლორული კონცერტები, თბილისის ქალთა გუნდის კონცერტი, ლაშქრობები, პიესების საჯარო კითხვა. დასწრება თავისუფალია.

საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ჩასატარებელი ფესტივალების საგრანტო კონკურსის“ გამარჯვებულია. ფინანსური მხარდამჭერია შუახევის კულტურის ცენტრიც.

ფესტივალის დაწყებამდე საკმაო დროა, მაგრამ ვინაიდან ჩვენი გაზეთი მისი აქტიური მხარდამჭერია, თადარიგი აქედანვე დავიჭირეთ. იმაზე, თუ ფესტივალის როგორი სეზონი გველოდება წელს და რა მუხტით აგრძელებს განვითარებას, დამფუძნებელი, რეჟისორი **ვახტანგ ბერიძე** გვესაუბრება.

- თერთმეტი წელია, უწყვეტად ვინარჩუნებთ იმ მუხტს, რომელსაც ფესტივალის იდეა მოიცავს. ეს არის ლიტერატორთა, ზოგადად, ხელოვანთა შეკრების, გაერთიანების, დაახლოების, ურთიერთობების, გამოცდილების გაზიარების, დამეგობრების სივრცე. წელსაც სამი დღის განმავლობაში შუახევის, ხულოს და ქედის მუნიციპალიტეტების მოსახლეობას საშუალება ექნება, დაესწროს საინტერესო საჯარო ლექციებს, პოეზიის საღამოებს, კინოჩვენებებს, თბილისის ქალთა გუნდის კონცერტს და ასე შემდეგ, გაიზიარონ ის ემოცია და მუხტი, რომელიც საფესტივალო დღეებში ტრიალებს. წლევანდელი ფესტივალი ეძღვნება თავისუფლებას. ყველამ კარგად ვიცით, რაოდენ დიდი მონაპოვარია ეს ადამიანისთვის, ქვეყნისთვის, თავისუფლებიდან დამოუკიდებლობამდე ან პირიქით - დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე გასავლელი გზა რა მტკივნეული და ეკლიანია არა მარტო ჩვენთვის. ყველა ერი გადის ამ გზას. ყველა დროში გროვდება სათქმელი. ამ ფესტივალზე ხელოვანებს სწორედ ამ სათქმელის გამოხატვის საშუალება მიეცემათ. ქართველები ყოველთვის ვამაყობდით წარსულით, მაგრამ აწმყოში რას ვამბობთ, რას ვქმნით, რას ვაკეთებთ, რას გადავცემთ მომავალ თაობას? ეს ძალიან მნიშვნელოვანი საფიქრალია, ჩემი აზრით. ჩვენს ფესტივალზე ყოველთვის არის ამ საკითხების ირგვლივ ჯანსაღი დისკუსია. წელსაც გვექნება ამის შესაძლებლობა. წელს "ზე-კართან" 29-30-31 აგვისტოს ჩატარდება. ამ ეტაპზე ეს რიცხვები გვაქვს განსაზღვრული, თუმცა შესაძლებელია, მიზეზთა გამო მისი ჩატარების თარიღმა რამდენიმე დღით გადმოიწიოს, ან გადაიწიოს.

- გველოდება თუ არა სიახლეები წელს?

- კულტურული ღონისძიების დაგეგმვა მოიცავს სამ მნიშვნელოვან ეტაპს, ესაა: დაგეგმვა, განხორციელება, კონტროლი. ეს სამი აქტივობა საკუთარი და სხვების შესაძლებლობების ერთგვარი კვლევაა ყოველწლიურად. თანდათან უფრო დ აუფრო ცხადდება ის ფაქტორები, რომლებიც კომპლექსურად ქმნის ხარისხიან ღონისძიებას. მათში იგულისხმება შემოქმედებითი და ორგანიზაციული საკითხებიც: კვება, სასტუმრო, სატრანსპორტო საშუალებები, მუნიციპალიტეტებში არსებული ინფრასტრუქტურა და ტექნიკური შესაძლებლობები. ვცდილობთ, ყოველ წელს უკეთეს გარემოსა და პირობებში მივიღოთ სტუმრები. რა თქმა უნდა, არის სირთულეებიც, მაგრამ, საბედნიეროდ, არა ისეთი მაშტაბური, რომ ვერ მოვერიოთ. წიგნების გამოფენა-გაყიდვაში, წელს, მინიმუმ, სამი მსხვილი გამომცემელი მიიღებს მონაწილეობას. ასევე პირველად ხდება ის, რომ ჩვენს ფესტივალში კლასიკური მუსიკა შემოდის - თბილისის ქალთა გუნდი გამართავს კონცერტს. სიახლეა ისიც, რომ მონაწილეთა სია იქნება სრულებით განახლებული და ფესტივალში საქართველოს გარდა ევროპაში ცნობილი მწერლებიც ჩაერთვებიან. ველოდებით სტუმრებს სომხეთიდან, თურქეთიდან, იტალიიდან.

- როგორ ემზადებოდით ფესტივალისთვის?

- მზადება, შეიძლება ითქვას, მთელი წელი მიმდინარეობს. ჩვენ კარგი გუნდი ვართ. ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფში არიან: გამომცემელთა საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი გვანცა ჯობავა, ჟურნალისტი თამარ ხოზრევანიძე, ეკონომისტი დავით არძენაძე და თქვენი მონა-მორჩილი. ძირითადად, ჩვენ ვგეგმავთ პროგრამას, მაგრამ გვეხმარებიან ხულოს შუახევის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელები

- გაქვს თუ არა დაგეგმილი მასშტაბების გაზრდა და ხომ არ უშლის ამას რამე ხელს?

- ფესტივალი მთიანი აჭარის სამივე მუნიციპალიტეტს მოიცავს. ყოველწლიურად სხვადასხვა ხეობასა და სოფელში ვატარებთ ღონისძიებებს. ვფიქრობ, ეს ფესტივალი მთას უხდება, იქ არის ავთენტური და სანამდეც შევძლებთ მის ჩატარებას, მთიელების საკუთრება უნდა იყოს. თუ იმ ქვეყნების არეალის გაზრდას გულისხმობთ, საიდანაც სტუმრებს მომავალში მოვიწვევთ, ნელ-ნელა, მართლაც, ვზრდით მასშტაბებს და რაც უფრო მეტი ქვეყნის, ეროვნების ხელოვანები, მწერლები გაიცნობენ ჩვენს მთიან აჭარას, ქართულ კულტურას, მით უკეთესი აჭარის მაღალმთიანეთისთვისაც და მთელი საქართველოსთვის.

- რას ელოდები წლევანდელი ფესტივალისგან?

- ფესტივალი როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ისე იზრდება, იხვეწება, მდიდრდება. წელსაც ველოდები იმგვარი ემოციების დავატრიალებას, რომ მთელი წელი გაგვყვეს.

- რამდენი წიგნი გამოიცა უკვე ფესტივალის ფარგლებში დაწერილი ნაწარმოებების შედეგად, წელს ერთი დაემატება თუ გააჩნია, რამდენი დაიწერება?

- ფესტივალის ფარგლებში გამოიცა ოთხი ქართული და ერთი ქართულ- იტალიური წიგნი ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად. ფესტივალის ხელშესახები მიღწევა სწორედ წიგნებია, რადგან რამდენი ხანსაც იარსებებს წიგნი, იმდენ ხანს დარჩება ადამიანების მეხსიერებაში ჩვენი ფესტივალიც.

- კიდევ რა წამახალისებელი ჯილდოებია მონაწილეთათვის, თუნდაც სიმბოლური?

- ყოველწლიურად ორ მწერალს გადავცემთ ყაბალახს, როგორც ჩვენი კუთხის სიმბოლოს. ვფიქრობ, ფესტივალი არ უნდა დაემსგავსოს კონკურსს, რომლის მიმართაც საზოგადოებას ყოველთვის აქვს ნეგატივი, უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი ნიშა - აქ არავინ არავის ეჯიბრება, ეს სიმბოლური საჩუქარიც საკმარისია.

- ფესტივალის განვითარებაზე მასში მონაწილეთა რაოდენობის ზრდაც მეტყველებს, ამ მხრივ როგორაა საქმე?

- წელს ფესტივალში იმაზე ბევრი ხელოვანი მიიღებს მონაწილეობას, ვიდრე აქამდე ყოფილა. ესენი არიან მწერლები, რეჟისორები, მუსიკოსები. ვფიქრობ, კვლავ მდიდარი შთაბეჭდილებებით დაიტვირთებიან და შესაბამის ნაწარმოებებსაც შექმნიან.

ცხადია, წლიდან წლამდე საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“ სულ უფრო ვითარდება, ძლიერდება, რაც ჩვენი კუთხის და ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას ამდიდრებს. წარმატებებს ვუსურვებთ მას. საფესტივალო დღეებამდე კიდევ ორნახევარი თვეა. სიახლეებს, რომლებიც საფესტივალო პროგრამაში შესაძლოა ამ დროის განმავლობაში გაჩნდეს, აუცილებლად გაგიზიარებთ.

მარინა მითაიშვილი

დათუნა ჯინჭარაძის ოქროს დებიუტი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

პოლონეთის ქალაქ ჯეშოვში რამდენიმე დღის წინ დამთავრდა საერთაშორისო ჩემპიონატი კონტაქტურ კარატეში, რომელშიც ბათუმის კლუბის „ჩემპიონთა აკადემია“ ექვსი სპორტსმენით მონაწილეობდა. სულ ჩემპიონატში 11 ქვეყანა და 89 კლუბის 860 სპორტსმენი ასპარეზობდა

შესანიშნავ შედეგს მიაღწიეს ჩვენმა ბიჭებმა, აჭარის კონტაქტური კარატეს ფედერაციის პრეზიდენტის, საქართველოს კონტაქტური კარატეს ახალგაზრდული და აჭარის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ლევან ცინცაძის აღზრდილებმა. ასევე, წარმატებით გამოვიდნენ არტურ უსტიანის კლუბის „ბუდოკანის“ წარმომადგენლები.

სანამ საპრიზო ადგილზე გასულ სპორტსმენებს წარმოგიდგენთ, მანამდე ყველაზე უმცროსი მონაწილის, 8 წლის დათუნა ჯინჭარაძის წარმატებულ დებიუტს აღვნიშნავთ. მან პირველად იასპარეზა ასეთი მაღალი დონის ტურნირზე, თანაც - უცხოეთში, შესანიშნავად იბრძოლა და ოქროს მედალიც მოიპოვა. მასთან ერთად პირველი ადგილი ზურა მელაძემ დაისაკუთრა. ვერცხლის მედალოსნები გახდნენ გიორგი თვალავაძე, გიორგი პატარაია, დავით ფადიევი, ედგარ აბგარიანი, ხოლო ქეთევან მამალაძე (გოგონებში) მესამე ადგილს დასჯერდა.

- სამი შეხვედრა მოვიგე, ყველაზე რთული ნახევარფინალი იყო, თუმცა ბრძოლა მაინც გამარჯვებით დავასრულე, შემდეგ კი ფინალი მოვიგე, რაც ძალიან გამიხარდა, - აღნიშნა დათუნა ჯინჭარაძემ.

- ფინალში ყვითელი ქამრის მფლობელ პოლონელს შევხვდი და ვაზარით მოვუგე. კმაყოფილი ვარ ამ გამარჯვებით, - გვითხრა ზურა მელაძემ.

- ამჯერად აქცენტი უმცროსი ასაკის კარატისტებზე გავაკეთეთ - 8-9 წლის სპორტსმენები წავიყვანეთ და შეჯიბრება საკმაოდ კარგად დავამთავრეთ - ორი ოქროს, ოთხი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი ავიღეთ. ყველა მნიშვნელოვან წონაში იმარჯვეს ჩვენმა კარატისტებმა, რაც არ შეიძლება არ გვახარებდეს, - თქვა ლევან ცინცაძემ.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 14/06/23, 21 ⁴⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„ჩვენ ერთად ერთ საზოგადოებას ვქმნით“

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ინკლუზიურმა თეატრალურმა დასმა „ცისარტყელა“ მორიგი პრემიერა - „ბაბაჯანას ქოშები“ (რეჟისორი - ნიკა ტუღუში, პროექტის ხელმძღვანელი - მარი ჩიმაკაძე) შესთავაზა მაყურებელს და, როგორც აქამდე დადგმული თითოეული სპექტაკლი, ესეც მნიშვნელოვანი, ამაღელვებელი და საინტერესო იყო

ინკლუზიური დასი 2007 წლიდან ფუნქციონირებს. ამჟერად მას ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიული თეატრი მასპინძლობდა, რომლის დარბაზი სავსე იყო პატარა მსახიობების თანატოლებით, ახლობლებით, მეგობრებით...

სპექტაკლში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან ერთად, ტიპური სკოლის მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ, რაც როგორც ერთი, ისე მეორე მხარისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ერთ-ერთ მთავარ როლს, ისევე, როგორც სხვა სპექტაკლებში, ყველასთვის უკვე ცნობილი და საყვარელი თეატრალური დასის - „ცისარტყელას“ წევრი რეზიკო ყურშუბაძე (მთხრობელი) ასრულებდა, ბაბაჯანას როლს - ლაზარე წილოსანი, ხოლო ვაჭრის როლი ანუკი დუმბაძემ მოირგო. სპექტაკლმა გულგრილი არავინ დატოვა.

სპექტაკლის ბოლოს გავესაუბრეთ იმ ადამიანებს, ვინც ასეთ მნიშვნელოვან წუთებს ჩუქნის იმათ, ვისთვისაც ეს ასე აუცილებელია.

ნიკა ტუღუში, სპექტაკლის რეჟისორი:

- მიხარია, რომ დარბაზი სავსე იყო. იმედია, მოლოდინი გავამართლეთ. ბედნიერები ვართ. მადლობა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროექტის მხარდაჭერისთვის, ასევე ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიულ თეატრს - თანადგომისთვის, მაყურებელს - მობრძანებისთვის, ამ ბავშვების გულის გახარებისთვის. ჩემთვის დიდი პატივი და ბედნიერებაა ინკლუზიურ დასთან მუშაობა. რამდენად გამომდის, ამას მაყურებელი აფასებს. როგორც პიროვნულად, ისე ფსიქოლოგიურად უდიდესი მოტივაციაა ამ ადამიანებთან მუშაობა. ერთად ვქმნით იმ პოდუქტს, რასაც ერთგული მაყურებელი ხედავს. მსგავსი ტიპის პროექტები მნიშვნელოვანია არა მარტო იმ ადამიანებისთვის, ვინც შშმ პირის სტატუსს ატარებს, არამედ ტიპური განვითარების ადამიანებისთვისაც, რადგან ჩვენ ერთნი ვართ, ერთ საზოგადოებას ვქმნით და ამიტომაცაა ჩვენი სპექტაკლები ინტეგრირებული. გვყავს ისეთი მსახიობები, რომლებთან ერთადაც 2007 წლიდან მოვდივარ. ჩვენ ერთად გადავლახეთ ბევრი წინაღობა. ჩვენი თეატრალური დასი „ცისარტყელა“ ინკლუზიური სწავლების ცენტრის ბაზაზეა ჩამოყალიბებული და ყველა, ვინც ამ სპექტაკლს ქმნის, კონკრეტული დარგის სპეციალისტია - ფსიქოლოგი, ლოგოპედი, აღმზრდელი... ისინი თითოეულ ჩვენს მსახიობთან ინდივიდუალურად მუშაობენ. ვცდილობთ, მაქსიმალურად მოვარგოთ როლი ამა თუ იმ მონაწილეს. ჩვენ გვიყვარს საქმე, რომელსაც ვაკეთებთ.

აპაკი ძნელაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე:

- აბრევიატურას „შშმ“ (პირები) მე ასე ავხსნი - „შენ შეგიძლია მეტი“. ეს მართლაც ფანტასტიკური სპექტაკლია, რომელიც შექმნა ინკლუზიურმა თეატრალურმა დასმა „ცისარტყელამ“. ბოლო წლებში ამ დასთან სამინისტროს საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს, ბავშვები მონაწილეობენ ჩვენ მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში და მათ ჩვენგან გაძლიერებული მხარდაჭერა აქვთ ყველა მიმართულებით. ეს დღეც ამის დასტურია. ეს იყო ჩემთვის ძალიან სასიამოვნო დღე და, მით უმეტეს, ამ მონაწილეებისთვის.

მანანა მაჩალაძე, ბათუმის 26-ე საჯარო სკოლის ინკლუზიური სწავლების ცენტრის ხელოვნების მასწავლებელი:

- მეცხრე სპექტაკლი დაიდგა, პირველი იყო „რწყილი და ჭიანჭველა“, შემდეგ, „ფიროსმანი“... იმ პირველ სპექტაკლში მონაწილე ბავშვებიდან შემოგვრჩა რეზიკო ყურშუბაძე. თაობათა ცვლა ხდება. დღეს სცენაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 6 ბავშვი იდგა, დანარჩენებიდან სამი მოცეკვავე 26-საჯარო სკოლის მოსწავლეა (სკოლის დირექტორი - თამარ გოგიშვილი), ერთი - №3 საჯარო სკოლის მოსწავლე, უსინათლო ბავშვია ჩართული სპექტაკლში და ბაბაჯანას როლს კი ბათუმის საჯარო სკოლის ტიპური მოსწავლე ასრულებს. სასიხარულოა, რომ ეს ბავშვები (ორივე მხარე) ძალიან კარგად ეწყობიან ერთმანეთს. მადლობა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, რომელიც მუდამ გვერდით გვიდგას.

რატომ არ ჩატარდება წელს „მონოდრამის საერთაშორისო ფესტივალი“?

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

წელს „მონოდრამის საერთაშორისო ფესტივალი“ არ ჩატარდება - ამის შესახებ ინფორმაცია ფესტივალის დამფუძნებელმა ოთარ ქათამაძემ თავის სოციალურ გვერდზე განათავსა. როგორც თავად ამბობს, ბათუმის მერიამ უარი განაცხადა დაფინანსებაზე. ოთარ ქათამაძე თვლის, რომ ეს მისი პოლიტიკური შეხედულების გამო მოხდა

მისივე თქმით, 10 წლის განმავლობაში ფესტივალი უამრავ პრობლემას აწყდებოდა, მუდმივად ანახევრებდნენ ბიუჯეტს და მის გაჩერებას ცდილობდნენ. თუმცა ორგანიზატორები გაჭირვებით, მაგრამ მაინც ახერხებდნენ ფესტივალის ჩატარებას.

„მონოდრამის საერთაშორისო ფესტივალის“ დამფუძნებელს დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ.

- ჩემთვის გაუგებარია, წელს რატომ არ დაფინანსდა პროექტი, როცა ამდენი წელი ფინანსდებოდა. შარშან გაუგებრობა მოხდა და არ დაფინანსდა. ზოგადად, მერიაში დაფინანსება ორ ეტაპადაა დაყოფილი, - ერთი გაზაფხულზე, მეორე კი შემოდგომაზე, პირველ და მეორე ნაკადად. ჩვენ განცხადება მეორე ნაკადში შევიტანეთ, რადგან „მონოდრამის ფესტივალი“ შემოდგომაზე ტარდება, თუმცა შარშან მერიამ პირველი ნაკადის დაფინანსებისას ამოწურა თავისი ბიუჯეტი. მეორე ნაკადში დაუფინანსებლები დავრჩით „მონოდრამის ფესტივალიც“, კინოფესტივალი „ბიაფიც“ და სხვა. ეს ამბავი ყველამ იცის. წელს, ასე ვთქვათ, თავი დავიზღვიეთ და პირველი ნაკადის დაფინანსებაზე შევიტანეთ განცხადება. მითხრეს, რომ დაკორექტირებული ბიუჯეტი წარმედგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ნახევარზე ნაკლებ თანხაში უნდა ჩავტეულიყავი. დავაკორექტირე, რადგან მინდოდა, წელს მაინც ჩატარებულიყო ფესტივალი და მეორედ არ ჩაგვეგდო წელი. დაკორექტირებული ბიუჯეტი ოფიციალურად წარვადგინე. დამირეკეს და მითხრეს, რომ კომისიაში განხილვაზე უნდა მივსულიყავი. გავიდა დღეები, არავინ შემეხმიანა, სანამ თვითონ არ დავრეკე. მერიის ერთ-ერთ თანამშრომელს ვესაუბრე, რომელმაც მითხრა, რომ კომისია შედგა, თუმცა აღარ დასჭირდათ ფესტივალის ორგანიზატორების მოწვევა და გადაწყვეტილება უჩვენოდ მიიღეს. სამწუხაროდ, წელს თქვენი ფესტივალი არ დაფინანსდა, რადგან ქულათა სისტემა ვერ დაკმაყოფილაო (არადა, ყოველთვის ვაკმაყოფილებდით). ქულათა სისტემა ფასდება პროექტში მთელი ფესტივალის ტექსტუალურად აღწერის მიხედვით. აღწერა უკვე წარდგენილი მქონდა, ახალი კი არ მოუთხოვიათ. მხოლოდ ბიუჯეტის წარდგენა მომთხოვეს და აქედან გამომდინარე მიიღეს ქულათა სისტემის ვერ-დაფინანსების გადაწყვეტილება, რაც ძალიან დიდი აბსურდი მგონია. ეს ერთგვარი მიზეზია, სინამდვილეში კი აქ პერსონებზე წყდება ყველაფერი. თუ შენ არ ხარ „ქოცი“, არ ხარ მეხოტბე, ან მორჩილი - არ ფინანსდები. ფინანსდებიან ისინი, ვინც „ჩვენიანები“ არიან. იმას ვერ ხვდებიან, რომ მერიის და ზოგადად, სახელმწიფოს ბიუჯეტი ივსება როგორც ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობისგან, ასევე მათი მხარდამჭერებისგან. ასეთი მიდგომა არის საბჭოთა კავშირის კომუნისტურ-ტეროორისტული აზროვნების შედეგი. ამას გადასახლებები, რეპრესიები რომ დავამატოთ, დღევანდელობას ვერაფრით განვასხვავებთ საბჭოთა კავშირისგან. სამწუხაროდ, იქითკენ მივექანებით, სადაც ირჩევენ არა დარგის სფეროს განვითარებას, არამედ პერსონებს - ვის რა პოზიცია გააჩნია. მე არ შემიძლია სხვანაირად ავხსნა, რომ წელს ფესტივალი არ დაფინანსდა. ვიღაცების მეშვეობით მითვლიან, რომ გავჩუმდე. რას ნიშნავს, გავჩუმდე?! რუსეთში ვცხოვრობთ?! პუტინისტურ საქართველოში ვცხოვრობთ თუ რაშია საქმე?! ბუნებრივია, არ გავჩუმდები, როცა ვხედავ, ჩემი ქვეყნის ინტერესები ეწირება პარტიას და ვიღაც „ვიწრო პოლიტიკანებს“. მე ჩემი პოზიცია მაქვს და ამას ყოველთვის ხმამაღლა ვიტყვი. ვფიქრობ, წელს აგონიაში არიან. ალბათ, წინასწარ გრძნობენ მომავალ წარუმატებლობას საპარლამენტო არჩევნებზე, რადგან აბსოლუტურად ფსკერს ქვემოთ დაეშვნენ თავიანთი ხედვებით და ასეთი კურსით. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტიდან ფინანსდებიან მათი მხარდამჭერები, ხდება მათი გამოკვება, დაკმაყოფილება იმისთვის, რომ არ შემოაკლდნენ, რადგან უკვე მხარდამჭერების ნაკლებობასაც გრძნობენ და იმასაც, რომ საქართველოს მოსახლეობას ყელში ამოუვიდა ყველაფერი. ეს მათი ბოლო „გაფართხალებები“ და აგონიური მოქმედებებია. სამწუხაროდ, ამას შეეწირა ჩვენი ფესტივალის დაფინანსება. ბუნებრივია, ვეძებთ სხვა გზებს და, იმედია, ვიშოვით ალტერნატიულ დაფინანსებას, რომ წელს ფესტივალი მაინც შედგეს. ამის ძალიან დიდი იმედი მაქვს. რამდენიმე თეატრალურმა ორგანიზაციამ მხარდაჭერა გამოგვიცხადა და ვნახოთ, როგორ გაგრძელდება ყველაფერი.

საპასუხო კომენტარისთვის მერიის პრესსამსახურს დავუკავშირდით, საიდანაც გადაგვამისამართეს დეპარტამენტში, რომელსაც ფესტივალების დაფინანსება ეხება, თუმცა ჩვენს ზარს არ უპასუხეს.

„ეს მნიშვნელოვანია თავდაჯერებისთვის“

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები „ევრო 2024“-ის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებისთვის მზადებას განაგრძობს. საწვრთნელი შეკრების ფარგლებში, ჩვენი გუნდი ბოლო ვარჯიშს თბილისში 15 ივნისს გამართავს, შემდეგ კი, 25 ფეხბურთელის შემადგენლობით, ლარნაკაში (კვიპროსი) გაემგზავრება

მოახლოებულ ოფიციალურ მატჩებთან დაკავშირებით ხვიჩა კვარაცხელიამ სფფ-ის პრესსამსახურთან საუბრისას თქვა: „მომზადებულები ვხვდებით თამაშს. თითოეული ფეხბურთელი ძალიან კარგ ფორმაშია. ბევრი გახდა ჩემპიონი, მოიგო თასი, რაც მნიშვნელოვანია თავდაჯერებისთვის. ყველაფერს ვაკეთებთ და ვცდილობთ, რომ მაქსიმალურად მოვემზადოთ კვიპროსთან თამაშისთვის. დიდი იმედი მაქვს, რომ წარმატებით დავამთავრებთ ამ თამაშს, გავიმარჯვებთ, რაც წაგვადგება შოტლანდიასთან თამაშისთვის“.

შეგახსენებთ: „ევრო 2024“-ის A ჯგუფის მატჩების ეგიდით, 17 ივნისს საქართველოს ნაკრები სტუმრად თემურ ქეცბაიას კვიპროსის ნაკრებს ეთამაშება, ხოლო 20-ში ედინბურგში - შოტლანდიას.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა:

მეკარეები: გიორგი ლორია („ანორთოსისი“), გიორგი მამარდაშვილი („ვალენსია“), ლუკა გუგეშაშვილი („ყარაბადი“);

მცველები: გურამ კაშია („სლოვანი“), საბა კვერკველია („ნეფთჩი“), ოთარ კაკაბაძე („კრაკოვია“), ლუკა ლოჩოშვილი („კრემონეზე“), გიორგი გველესიანი („პერსეპოლისი“), ლაშა დვალი („აპოელი“), ჯიმი ტაბიძე („დინამო თბილისი“), ირაკლი აზაროვი („ცრვენა ზვეზდა“), გიორგი გოჩოლეიშვილი („შახტარი“);

ნახევარმცველები: ნიკა კვეკვესკირი („ლეხი“) ოთარ კიტეიშვილი („შტურმი“), ვლადიმერ მამუჩაშვილი („დინამო ბათუმი“), სანდრო ალთუნაშვილი („დინამო ბათუმი“), ლევან შენგელია („პანეთოლიკოსი“), ლუკა გაგნიძე („დინამო მოსკოვი“), საბა ლობჟანიძე („კარაგუმრუკი“), გიორგი ჩაკვეტაძე („სლოვანი“), ზურიკო დავითაშვილი („ბორდო“), ხვიჩა კვარაცხელია („ნაპოლი“);

თავდამსხმელები: გიორგი მიქაუტაძე („მეცი“), ბუდუ ზივზივაძე („კარლსრუე“), გიორგი ქვილითაია („აპოელი“).

ამირან გურიელიძე